

ღამატება № 2

საზოგადოებრივი კონსულტაციების პროცესი

1. შესავალი

პროექტის სკოპინგის და გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ფაზებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი კონსულტაციების პროცესი მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს “მიმოხილვის და დამტკიცების პროცესში”.

საქართველოს კანონმდებლობა, ერგბ-ს საზოგადოების ინფორმირების პოლიტიკის მოთხოვნები, საჯარო განხილვებთან დაკავშირებული ევროპული კანონები და საერთაშორისო კონვენციები განხილულია გზშ-ს ძირითადი ტექსტის მე -14.1 თავში. საზოგადოებასთან კონსულტაციებისა და საჯარო განხილვების გეგმა მოცემულია გზშ-ს დანართ №3 –ში.

2. განხორციელებული საჯარო განხილვების და კარ-და-კარ შეხვედრების მოკლე აღწერა

ამ ეტაპისთვის უკვე განხორციელებულია საზოგადოებრივ კონსულტაციებთან დაკავშირებული შემდეგი აქტივობები:

- 22/23.09.2008 – ქ.ბათუმსა და ქობულეთში ჩატარდა სკოპინგის დოკუმენტის განხილვის საჯარო მოსმენები. საჯარო კონსულტაციების მიზანს წარმოადგენდა პროექტის განვითარების ადრეულ სტადიაზე საზოგადოებისათვის “სკოპინგის” დოკუმენტის, აგრეთვე “საზოგადოებასთან კონსულტაციებისა და საჯარო განხილვების გეგმის” წარდგენა და კომენტარების მიღება. შეხვედრას ესწრებოდნენ ადგილობრივი მოსახლეობა, არასამთავრობო სექტორი და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები (სულ 50 კაცი);
- 14.09.2008 - ჩატარდა პირველი კარ-და-კარ შეხვედრები, ახალი ნავაგსაყრელის ასაშენებლად გამოყოფილი ტერიტორიის მიმდებარე ტერიტორიაზე შენობა ნაგებობებისა და ნაკვეთების მფლობელებთან. მოსახლეობას მიეწოდა მოკლე ინფორმაცია მიმდინარე პროექტის შესახებ. მოხდა შეთანხმება შემდგომი შეხვედრების თაობაზე;
- 22/23.01.2009 – ქ. ბათუმში, ქობულეთსა და ჩაქვში, ჩატარდა გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) პირველი ვარიანტის საჯარო განხილვები რომელსაც ესწრებოდნენ ადგილობრივი მოსახლეობა, არასამთავრობო ორგანიზაციების და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები (სულ 85 კაცი). საჯარო კონსულტაციების მიზანს წარმოადგენდა გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის მომზადების პროცესში საზოგადოებისათვის “გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ)” პირველი ვარიანტის, აგრეთვე “საზოგადოებასთან კონსულტაციებისა და საჯარო განხილვების გეგმის” წარდგენა და კომენტარების მიღება, რაც საშუალებას იძლევა დროულად და სრულად იქნეს გათვალისწინებული გზშ-ს საბოლოო ვერსიაში დაინტერესებულ მხარეთა მიერ პროექტთან დაკავშირებით გამოთქმული მოსაზრებანი და შენიშვნები;

- 23-24.11.2008 - საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის ექსპერტმა და გარემოსდაცვის ექსპერტთა ჯგუფმა განხორციელა შეხვედრები დაბა ჩაქვის ახალი ნაგავსაყრელის ახლო მცხოვრებ ადგილობრივ მოსახლეობასთან, კერძოდ ახალი ნაგავსაყრელის მშენებლობის ადგილიდან 100-150 მეტრში მდებარე 5-6 ოჯახთან, სოფ. ჩაისუბნის დასახლების და სოფ. მე-7 მიკრორაიონის მოსახლეობასთან. შეხვედრების დროს მათ დაურიგდათ გზშ-ს არატექნიკური რეზიუმეს რამდენიმე ეგზემპლარი და ეცნობათ გზშ საჯარო განხილვების ადგილის და თარიღის შესახებ;
- ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრების სერია გაგრძელდა გზშ-ს პირველი ვარიანტის საჯარო განხილვების შემდეგაც. 2009 წლის 13 მარტს განხორციელდა კარ და კარ შეხვედრები დაბა ჩაქვის სოფ. ჩაისუბნის და მე-7 მიკრორაიონის ადგილობრივ მოსახლეობასთან. მათ დაურიგდათ საინფორმაციო ბუკლეტები, სადაც მოცემულია ინფორმაცია პროექტის მიზნების და ამოცანების შესახებ, აგრეთვე ინფორმაცია ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების და უფლებების შესახებ. ხსენებული სოციალური მოთხოვნები შეეხება ე.წ. “იძულებითი განსახლების” საკითხებს და ასევე ნებისმიერი სხვა სახის უარყოფით სოციალურ ზემოქმედებას, რაც შეიძლება დაკავშირებული იყოს პროექტის განხორციელებასთან.

3. შემდგომი საჯარო განხილვების და კარ-და-კარ შეხვედრების გეგმა

- გზშ-ს დოკუმენტის საბოლოო ვერსიის გამოქვეყნებიდან 45 დღის შემდეგ (2009 წლის მაისში) ჩატარდება საჯარო განხილვების მეორე რაუნდი ქ. ბათუმში, ქობულეთსა და ჩაქვში;
- 2009 წლის მარტში, აპრილში და მაისში იგეგმება კარ-და-კარ შეხვედრები დაბა ჩაქვის სოფ. ჩაისუბნის და მე-7 მიკრორაიონის მოსახლეობასთან და ყველა იმ პირთან და ოჯახთან, ვისაც გააჩნია მიწის ნაკვეთი ნაგავსაყრელის სანიტარული ზონის (500მ-ის) ფარგლებში.

4. საჯარო განხილვების და შეხვედრების ოქმები

ოქმი

საზოგადოებასთან კონსულტაციები
22-23 სექტემბერი, 2008

მუნიციპალური მყარი ნარჩენების მართვა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

მომზადდა 2008 წლის 25 სექტემბერს
ქეთი დგებუაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის კონსულტანტი
SWECO International AB

მუნიციპალური მყარი ნარჩენების მართვის პროექტი აჭარის
ავტონომიურ რესპუბლიკაში

საზოგადოებრივი კონსულტაციები ბათუმსა და ქობულეთში

22/23 სექტემბერი, 2008 წელი.

მოკლე შინაარსი: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველომ და სვეკო ინტერნეშენალმა (SWECO Internattional) პროექტის “მუნიციპალური მყარი ნარჩენების მართვა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში” ფარგლებში ჩაატარეს საჯარო კონსულტაციების პირველი რაუნდი ბათუმსა და ქობულეთში, რომელსაც ესწრებოდნენ ადგილობრივი მოსახლეობა, არასამთავრობო სექტორი და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები.

საჯარო კონსულტაციების მიზანს წარმოადგენდა პროექტის განვითარების ადრეულ სტადიაზე საზოგადოებისათვის **“სკოპინგის” დოკუმენტის, აგრეთვე “საზოგადოებასთან კონსულტაციებისა და საჯარო განხილვების გეგმის”** წარდგენა და კომენტარების მიღება, რაც საშუალებას იძლევა დროულად და სრულად იქნეს გათვალისწინებული დაინტერესებულ მხარეთა მიერ პროექტთან დაკავშირებით გამოთქმული მოსაზრებანი და შენიშვნები. ევროპის საფინანსო ინსტიტუტების საოპერაციო სახელმძღვანელოს თანახმად საჯარო კონსულტაციების მოთხოვნები და მონაწილე მხარეების მიერ გაკეთებული კომენტარები მნიშვნელოვან კონპონენტს წარმოადგენს პროექტების გარემოსდაცვითი შეფასების დაგეგმვის ადრეულ ეტაპზე. საზოგადოების ჩართვა პროექტის ადრეულ სტადიაზე ხელს უწყობს უკეთესი პროექტების შემუშავებას, მათ უკეთეს განვითარებას და ერთობლივ მართვას.

გზშ-ს დოკუმენტაციის განხილვის 120 დღიან ციკლს წინ უძღვის წინასწარი გარემოზე ზემოქმედების შეფასების (სკოპინგის) საჯარო განხილვა. სკოპინგის დოკუმენტი წარმოადგენს ერგბ-ს მოთხოვნათა შესაბამისად მომზადებულ

დოკუმენტს, რომლის მიზანიც არის გზშ-ს ფარგლებში განსახილველი აქტუალურ საკითხთა წრის გამოვლენა და მომავალი გზშ-ს შინაარსის განსაზღვრა.

პროექტის “მუნიციპალური მყარი ნარჩენების მართვა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში” მიზანს წარმოადგენს ახალი სანიტარული ნაგავსაყრელის მშენებლობას დაბა ჩაქვში, ბათუმსა და ქობულეთის არსებული, სტანდარტებთან შეუსაბამო ნაგავსაყრელების დახურვა, ნარჩენების შეგროვების არსებული სისტემის რეორგანიზაცია და დამოუკიდებელი კომპანიის დაფუძნება, რომელიც განახორციელებს შემოთავაზებული ნაგავსაყრელის ექსპლუატაციას.

შეხვედრას ესწრებოდნენ:

ირაკლი გორაძე- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, ირაკლი ჭავჭავანიძე – აჭარის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს უფროსი, ნოდარ კონცელიძე - აჭარის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო , ლასლო ირიცი – SWECO International, თამუნა დოლიძე - SWECO International- ის ბათუმის ოფისის მენეჯერი, დავით ფირცხალაიშვილი – აჭარის გ.დ.ი., ივანე ჭეიშვილი – ქ. ბათუმის მერია, ირაკლი კავილაძე - SWECO International- ის გარემოსდაცვითი ექსპერტი, მედგარ ჭელიძე - SWECO International- ის გარემოსდაცვითი ექსპერტი, ქეთი დგებუაძე - SWECO International- ის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომინიკაციის ექსპერტი.

ასევე, ესწრებოდნენ: მხარეთა გამგებლები, ოფიციალური პირები, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები, მასმედიის წარმომადგენლები და ადგილობრივი სოფლების/ქალაქების მოსახლეობა.

პრეზენტაციები: კრება გახსნა ირაკლი ჭავჭავანიძემ – აჭარის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს უფროსმა, რომელიც მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა ხალხს გამოჩენილი დაინტერესებისათვის, საზოგადოებასთან კონსულტაციების პროცესში მონაწილეობისთვის, რაც დიდად წაადგება მომავალ საქმიანობაში ხალხის აზრის გათვალისწინებას, და მოუწოდა მათ დიალოგისაკენ.

პრეზენტაციის პირველი ნაწილი წარმართა ქეთი დგებუაძემ, Sweco International- ის საზოგადოებასთან ურთიერთობის კონსულტანტმა, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას ინფორმაცია მიაწოდა პროექტის დამფინანსებელ ინსტიტუტებზე და პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების განმახორციელებელ შვედურ კომპანიაზე - Sweco International –ზე, აგრეთვე საზოგადოების ინფორმირებასა და დაინტერესებულ მხარეების კონსულტაციებთან დაკავშირებით ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (ერგბ) სოციალური და გარემოსდაცვითი გარანტიების პოლიტიკაზე და პროცედურებზე და საქართველოს კანონმდებლობაზე. საზოგადოებასთან ურთიერთობის კონსულტანტმა, ყურადღება გაამახვილა **საზოგადოებასთან კონსულტაციებისა და საჯარო განხილვების გეგმაზე**, რომელიც მომზადებულ იქნა ერგბ - ს სკოპინგის პროცედურების თანახმად, და რომელშიც დეტალურად არის განხილული ინფორმაციის გამოქვეყნების პროცესი, საკომუნიკაციო არხები თითოეული დაინტერესებული მხარისთვის, საზოგადოების კომენტარების და გასაჩივრების პროცედურები, როგორც სკოპინგის პროცესის, ასევე გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის მომზადების პროცესში დაგეგმილი საჯარო განხილვების დროს.



კონსულტანტმა დამსწრეებს წარუდგინა, აგრეთვე საზოგადოებრივი კონსულტაციების დროის განრიგი და საჯარო საჩივრის ფორმა.

პრეზენტაციის მეორე ნაწილი წარმართეს SWECO International-ის გარემოსდაცვითმა ექსპერტებმა: ირაკლი კავილაძემ და მედგარ ჭელიძემ, რომელთაც დამსწრეებს გააცნეს გარემოსდაცვითი “სკოპინგის” ანგარიში, კერძოდ:

ი.კავილაძემ დამსწრეებს მოუთხრო პროექტის მიზნებზე, აჭარაში ნარჩენების მართვასთან დაკავშირებულ პრობლემებზე, ბათუმში და ქობულეთში არსებული ნაგავსაყრელების შეუსაბამობაზე თანამედროვე სტანდარტების მოთხოვნებთან და ახალი თანამედროვე ნაგავსაყრელის მშენებლობის აუცილებლობის შესახებ. განხილულ იქნა ახალი ნაგავსაყრელისათვის ადგილის შესარჩევად ჩატარებული სამუშაოები (შერჩევის მეთოდოლოგია, წინასწარი შესწავლები) და ამ პროცესის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება.

მ.ჭელიძემ მოკლედ მიმოიხილა მიმდინარე ეტაპზე ჩატარებული კვლევები, ახალი ნაგავსაყრელის ბუნებრივი და სოციალური გარემოს შესახებ წინასწარი ინფორმაცია. განხილულ იქნა დამატებით მოსაპოვებელი ინფორმაცია, გარემოზე მოსალოდნელ ზემოქმედებათა სპექტრი, შესაძლო შემარბილებელი ღონისძიებების სტრატეგია და მომავალი გზის შინაარსი.

პრეზენტაციას მოჰყვა კითხვა-პასუხის სესია. სხვადასხვა მონაწილე მხარეების კითხვებზე და კომენტარებზე პასუხსუხები გასცეს პროექტის შესაბამისმა ექსპერტებმა – ი.კავილაძემ, მ.ჭელიძემ და ლ.ირიციამ. კითხვები და პასუხები მოცემულია ცხრილებში 1 და 2.

ცხრილი № 1.

ჩატარების ადგილი: ბათუმი, შპს “სანდასუფთავების” ოფისი.

ჩატარების დრო: 22 სექტემბერი, 2008 წელი, 11.00 საათი.

მონაწილეები:

1. ირაკლი გორაძე- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა
2. ირაკლი ჭავჭავანიძე – აჭარის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს უფროსი
3. ნოდარ კონცელიძე - აჭარის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო
4. ლასლო ირიცი – SWECO International
5. თამუნა დოლიძე - SWECO International- ის ბათუმის ოფისის მენეჯერი
6. დავით ფირცხალაიშვილი – აჭარის გ.დ.ი.
7. ივანე ჭეიშვილი – ქ. ბათუმის მერია
8. ლელა ნოზაძე - აჭარის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო
9. ირაკლი კავილაძე - SWECO International- ის გარემოსდაცვითი ექსპერტი
10. მედგარ ჭელიძე - SWECO International- ის გარემოსდაცვითი ექსპერტი

11. ქეთი დგებუაძე - SWECO International- ის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის ექსპერტი
12. დალი მახარაძე – აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო
13. იზოლდა მაჭუტაძე – ველური ბუნების დაცვის საზოგადოება “ჭაობი”
14. ნანა სხილაძე - ველური ბუნების დაცვის საზოგადოება “ჭაობი”
14. ჯიმშერ მამუჭაძე – გარემოსდაცვითი ასოციაცია “ფსოვი”
15. ნინო ცხვარაძე – გაზეთი “აჭარა”
16. ტარიელ ტუსკია – შ.პ.ს. “ტუოვი”
17. ვლადიმერ ოფჩარენკო – შ.პ.ს “ტუოვი”
18. ბეგლარ ხალვაში – მწვანეთა მოძრაობა
19. ვლასი ხიტირი – ა(ა)იპ “მოდუს ვივენდი”
20. რევაზ დგებუაძე – მწვანეთა მოძრაობა
21. პაატა ჭანკოტაძე – “მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის”
22. მადონა პირველაშვილი – “გარემოსდაცვითი პოლიტიკის ცენტრი”
23. თამაზ ახვლედიანი – ხელვაჩაურის წყალკანალი

შენიშვნა: დაინტერესებული მხარეები და ადგილობრივი მოსახლეობა გაფრთხილებული იქნა ერთი კვირით ადრე ადგილობრივი და ცენტრალური გაზეთების საშუალებით, აგრეთვე კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელით, აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ვებგვერდის და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების საშუალებით. სკოპინგის ანგარიშის ელექტრონული ვერსიები ქართულ და ინგლისურ ენებზე ხელმისაწვდომი იყო აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ვებგვერდზე (ბათუმი), საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების ოფისში (თბილისი), ორპუსის ცენტრში (თბილისი), კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის ოფისში (თბილისი), ხოლო ბეჭდური ვერსიები ხელმისაწვდომი იყო ბათუმის, ხელვაჩაურის, ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობებში და აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოში.

კითხვა-პასუხის სესია:

№	კითხვა/კომენტარი	ავტორი	ექსპერტთა კომენტარები
1.	როგორ მოხდება ბათუმის და ქობულეთის სტანდარტებთან შეუსაბამო ნაგავსაყრელების დახურვა?	ნოდარ კონცველიძე	აღნიშნული სტანდარტებთან შეუსაბამო ნაგავსაყრელების მუშაობა შეწყდება. ნაგავსაყრელები დაიკეტება. მოცემული პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია ნაგავსაყრელების დაფარვა დამცავი ფენებით. ნაგავსაყრელების სრული კონსერვაცია მოითხოვს უფრო რთულ და კომპლექსურ ღონისძიებებს (მაგ. ბათუმის ნაგავსაყრელის კონსერვაციისათვის მიზანშეწონილი იქნება



			ნაპირსამაგრი სამუშაოები მდ.ტოროსზე).
2.	ვინ განახორციელებს ყოფილი ნაგავსაყრელების დახურვას და ახლის მშენებლობას?	იზოლდა მაჭუტაძე	ტექნიკური პროექტის დასრულების შემდეგ გამოცხადდება ტენდერი, რომლის შედეგადაც გამოირჩევა ის ორგანიზაცია, რომელიც შემუშავებული პროექტის შესაბამისად განახორციელებს ძველი ნაგავსაყრელების დახურვას და ახლის მშენებლობასთან დაკავშირებულ სამუშაოებს. დაფინანსება მოხდება ევროპის საფინანსო ინსტიტუტების მიერ.
3.	ძველი ნაგავსაყრელების დახურვას დაჭირდება თუ არა ცალკე გზის მომზადება?	ირაკლი გორაძე	მიმდინარე პროექტის ფარგლებში გარემოზე ზემოქმედების ნებართვა მიღებული იქნება ახალი ნაგავსაყრელის მშენებლობაზე და ძველების დახურვის იმ შედარებით მარტივ ვარიანტზე, რომლის ტექნიკური პროექტიც წარმოდგენილ იქნება კონსულტანტის მიერ. იმ შემთხვევაში, თუ მომავალში ეს წინასწარი პროექტი გადამუშავდება და უფრო რთული და კომპლექსური პროექტის სახეს მიიღებს, საჭირო იქნება ამ ახალ პროექტებზე დამატებითი ნებართვები.
4.	რა არის პროექტის კონკრეტული მიზნები - მხოლოდ ახალი ნაგავსაყრელის გახსნა და ორი არსებულის დახურვა?	ირაკლი გორაძე	გარდა ამ ორი კომპონენტისა პროექტი მოიცავს ნარჩენების შეგროვების არსებული სისტემის რეორგანიზაციას და დამოუკიდებელი კომპანიის დაფუძნებას, რომელიც განახორციელებს შემოთავაზებული ნაგავსაყრელის ექსპლუატაციას.
5.	იქნება თუ არა წარმოდგენილი ბათუმის და ქობულეთის არსებული ნაგავსაყრელების დახურვის დეტალური პროექტი? ბანკთან საწყისი მოლაპარაკების სტადიაზე ძველი ნაგავსაყრელის დახურვა პრიორიტეტული საკითხი იყო აჭარის	ირაკლი გორაძე	ღასლო ირიცი – საჭიროა აჭარის მთავრობა, როგორც პროექტის მფლობელი, აქტიურად ესაუბროს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს. თანხა, რომელიც ამჟამად არის გამოყოფილი პროექტისათვის (7000000 ევრო) არ არის საკმარისი იმისათვის, რომ განხორციელდეს, როგორც ახალი ნაგავსაყრელის მშენებლობა, ასევე ძველი ნაგავსაყრელების კონსერვაციის სრული პროგრამა. საჭიროა, რომ აჭარის მთავრობისა და დონორი ორგანიზაციების მიერ შეჯერებულ



	მთავრობისათვის.		იქნას პრიორიტეტები.
6.	გათვალისწინებული იქნება თუ არა საჩივრები მოსახლეობიდან ჩაქვის ახალი ნაგავსაყრელის სუნთან დაკავშირებით?	იზოლდა მაჭუტაძე	იქნას პრიორიტეტები. ტექნიკური პროექტი მომზადებულ უნდა იქნას ისე, რომ მოსახლეობის სუნით შეწუხება გამოირიცხოს ან მისაღებ დონემდე იქნას შემცირებული. საჩივრების მიღების და დაკმაყოფილების სისტემა აღწერილი იქნება გზშ-ში.
7.	დაცული იქნება თუ არა გრუნტის წყლები?	თამაზ ახვლედიანი	ახალი ნაგავსაყრელის ადგილის შერჩევას გრუნტის წყლების დაბინძურებისაგან დაცვა განმსაზღვრელი კრიტერიუმია. გეოლოგიური ქანების აგებულება და გრუნტის წყალგამტარობა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს გრუნტის წყლების დაცულობას. როგორც ჩატარებულმა გეოტექნიკურმა და ჰიდროგეოლოგიურმა კვლევებმა აჩვენა, შერჩეული ადგილის თიხოვანი შრეები გრუნტის წყლის მაქსიმალური დაცულობის საშუალებას იძლევა.
8.	გათვალისწინებული იქნება თუ არა პროექტში ჩამდინარე წყლების მექანიკური და ბიოლოგიური გაწმენდა?	თამაზ ახვლედიანი	აღნიშნული პროექტი ითვალისწინებს ორივე ტიპის გაწმენდას.
9.	ვინაიდან პროექტით გათვალისწინებული ახალი ნაგავსაყრელი რეგიონალური მნიშვნელობისაა, ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით გაკეთდება თუ არა ბეტონის გზა?	ბეგლარ ხალვაში	პროექტის ფარგლებში განხორციელდება უშუალოდ ახალ ნაგავსაყრელთან მისავლელი გზების რეაბილიტაცია. რაც შეეხება საზოგადოდ აჭარაში ცენტრალური მაგისტრალების და რეგიონალური მნიშვნელობის გზების რეკონსტრუქცია/რეაბილიტაციას, ეს ცალკე პროექტის საგანია და ამ საკითხებზე აჭარის რესპუბლიკის და საქართველოს მთავრობა მუშაობენ.

ცხრილი № 2.

ჩატარების ადგილი: ქობულეთი, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობა.
ჩატარების დრო: 23 სექტემბერი, 2008 წელი, 15.00 საათი.



მონაწილეები:

მონაწილეები:

1. ირაკლი გორაძე- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა
2. ირაკლი ჭაყაჭანიძე – აჭარის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს უფროსი
3. ნოდარ კონცელიძე - აჭარის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო
4. ლასლო ირიცი – SWECO International
5. თამუნა დოლიძე - SWECO International- ის ბათუმის ოფისის მენეჯერი
6. დავით ფირცხალაიშვილი – აჭარის გ.დ.ი.
7. ირაკლი კავილაძე - SWECO International- ის გარემოსდაცვითი ექსპერტი
8. მედგარ ჭელიძე - SWECO International- ის გარემოსდაცვითი ექსპერტი
9. ქეთი დგებუაძე - SWECO International- ის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომინიკაციის ექსპერტი
10. იზოლდა მაჭუტაძე – ველური ბუნების დაცვის საზოგადოება “ჭაობი”
11. ნანა სხილაძე - ველური ბუნების დაცვის საზოგადოება “ჭაობი”
12. ჯიმშერ მამუჭაძე – გარემოსდაცვითი ასოციაცია “ფსოვი”
13. ნინო ცხვარაძე – გაზეთი “აჭარა”
14. ბეგლარ ხალვაში – მწვანეთა მოძრაობა
15. ვლასი ხიტირი – ა(ა)იპ “მოდუს ვივენდი”
16. რევაზ დგებუაძე – მწვანეთა მოძრაობა
17. პაატა ჭანკოტაძე – “მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის”
18. მადონა პირველაშვილი – “გარემოსდაცვითი პოლიტიკის ცენტრი”
19. მამია ხარაზი – ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე
20. ასლან ყურშუბაძე – აჭარის ა/რ მთავრობის თვითმმართველობის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი
21. მერაბ ჯინჭარაძე – ქობულეთის მუნიციპალიტეტი
22. გია გოლიაძე – ქობულეთის მუნიციპალიტეტი
23. ვაჟა გეგიძე – აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო
24. ირაკლი მაღაყმაძე – აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო
25. გიგა ვარშალომიძე - აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო
26. ისრაფილ ლორთქიფანიძე – შ.პ.ს. “სანდასუფთავება”
27. ანზორ ქათამაძე – შ.პ.ს. “სანდასუფთავება”

კითხვა-პასუხის სესია:

№	კითხვა/კომენტარი	ავტორი	ექსპერტთა კომენტარები
1.	აქვს თუ არა	მამია ხარაზი	პროექტისათვის გამოყოფილი

	<p>აღნიშნულ პროექტს უარყოფითი გამოვლინება, მითუმეტეს, რომ ჩაქვი საკურორტო ზონას წარმოადგენს და მნიშვნელოვანია პროექტში გათვალისწინებული იქნას ჩამდინარე წყლების, ქარის საშიშროების, და სხვ. საკითხები?</p>		<p>ადგილი (მე-7 მიკრორაიონი) არ განეკუთვნება საკურორტო ზონას. პროექტი განხორციელდება ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად და ყოველგვარი ზემოქმედება ბუნებრივ გარემოზე, მოსახლეობის ჯანმრთელობაზე და ა.შ. დაყვანილ იქნება მინიმუმამდე. ჩამდინარე წყლები შეგროვდება და მისი გარემოში ჩაშვება მოხდება მხოლოდ გამწმენდ ნაგებობაში გადამუშავების შემდეგ. შეგროვდება გამომუშავებული ბიოგაზი და დაიწვება. დაცული იქნება სანიტარული წესები.</p>
<p>2.</p>	<p>ბათუმის და ქობულეთის ნაგავსაყრელების დახურვა სხვადასხვანირად მოხდება?</p>	<p>იზოლდა მაჭუტაძე</p>	<p>ნაგავსაყრელების საბოლოო კონსერვაციის საკითხს თუ შეეხებით, ბათუმში გაცილებით სერიოზული ტექნიკური პროექტი იქნება მოსამზადებელი, რომლის ერთ-ერთ ეტაპს ნაპირსამაგრი სამუშაოების შესრულება უნდა წარმოადგენდეს. ქობულეთის ჭაობიან ტერიტორიაზე მოწყობილ ნაგავსაყრელს რაც შეეხება, აქ გაცილებით მარტივი პროექტი იქნება მოსამზადებელი. რაც შეეხება მიმდინარე პროექტის ფარგლებში ნაგავსაყრელების დახურვას, ზედაპირის გადაფარვის შემოთავაზებული მეთოდოლოგია მსგავსი იქნება ორივე შემთხვევაში, თუმცა ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით ცხადია იქნება განსხვავებაც.</p>
<p>3.</p>	<p>იდგა ახალი ნაგავსაყრელის მშენებლობაზე წარმოიშვა ძველის დახურვასთან დაკავშირებით. პროექტის საწყის ფაზაში პრიორიტეტული საკითხი იყო სწორედ არსებული ნაგავსაყრელების დახურვა. დღეს წარმოდგენილ პრეზენტაციაში</p>	<p>ირაკლი ჭავჭავანიძე</p>	<p>ლასლო ირიცი – საჭიროა აჭარის მთავრობა აქტიურად ესაუბროს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს, ვინაიდან გამოყოფილი გრანტი, ისევე როგორც სესხი, წარმოადგენს აჭარის მთავრობისათვის გამოყოფილ ფულს. თანხა, რომელიც ამჟამად არის გამოყოფილი პროექტისათვის (7000000 ევრო) არ არის საკმარისი იმისათვის, რომ განხორციელდეს, როგორც ახალი ნაგავსაყრელის მშენებლობა, ასევე ძველი ნაგავსაყრელების კონსერვაციის</p>



	<p>აქცენტები შეცვლილია: ძირითადი აქცენტი გაკეთებულია ახალი ნაგავსაყრელის მშენებლობაზე, ხოლო ძველი ნაგავსაყრელების დახურვის პროექტი არ გულისხმობს კონსერვაციისათვის საჭირო ყველა ღონისძიებას.</p>		<p>სრული პროგრამა. საჭიროა, რომ აჭარის მთავრობისა და დონორი ორგანიზაციების მიერ შეჯერებულ იქნას პრიორიტეტები და განისაზღვროს პროექტის რა ნაწილს, რომელი დონორი ორგანიზაცია აფინანსებს.</p>
<p>4.</p>	<p>მოსდება თუ არა ნაგავსაყრელზე გამოყოფილი გაზის, როგორც ენერგორესურსის გამოყენება?</p>	<p>ჯიმშერ მამუჭაძე</p>	<p>პირველ რიგში საჭიროა გარემოს დაბინძურების თავიდან აცილება, გამოყოფილი გაზის შეგროვება და დაწვა ალის სახით. გარდა ამისა, ტექნიკურ ეკონომიკური დასაბუთების ფარგლებში განხილული იქნება შეგროვებული გაზის საწვავად გამოყენების მიზანშეწონილობა.</p>
<p>5.</p>	<p>შემარბილებელ ზომებში ეს პროექტი გულისხმობს რეციკლირებას?</p>	<p>იზოლდა მაჭუტაძე</p>	<p>პროექტში რეკომენდებულია არსებულ ნაგავსაყრელებზე არალეგალურად მომუშავე “ნაგავმქეპავების” ოფიციალურად დასაქმება და მათი ჩართვა ნარჩენების ადგილზე სეგრეგაციის და მეორადი გადამუშავების უმარტივეს სისტემაში.</p>

ოქმი

საზოგადოებასთან კონსულტაციები 22-23 იანვარი, 2009

მომზადდა 2009 წლის 28 იანვარს
ქეთი დგებუაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის კონსულტანტი
SWECO International AB

საზოგადოებრივი კონსულტაციები ბათუმში, ქობულეთსა და ჩაქვში

შესავალი: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო და სვეკო ინტერნეშენალმა (SWECO Internattional) პროექტის “მუნიციპალური მყარი ნარჩენების მართვა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში” ფარგლებში ჩატარეს გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) პირველი ვარიანტის საჯარო განხილვები ბათუმში, ქობულეთსა და ჩაქვში, რომელსაც ესწრებოდნენ ადგილობრივი მოსახლეობა, არასამთავრობო ორგანიზაციების და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები.

საჯარო კონსულტაციების მიზანს წარმოადგენდა გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის მომზადების პროცესში საზოგადოებისათვის **“გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ)” პირველი ვარიანტის, აგრეთვე “საზოგადოებასთან კონსულტაციებისა და საჯარო განხილვების გეგმის”** წარდგენა და კომენტარების მიღება, რაც საშუალებას იძლევა დროულად და სრულად იქნეს გათვალისწინებული გზშ-ს საბოლოო ვერსიაში დაინტერესებულ მხარეთა მიერ პროექტთან დაკავშირებით გამოთქმული მოსაზრებანი და შენიშვნები. ევროპის საფინანსო ინსტიტუტების საოპერაციო სახელმძღვანელოს თანახმად საჯარო კონსულტაციების მოთხოვნები და მონაწილე მხარეების მიერ გაკეთებული კომენტარები მნიშვნელოვან კონპონენტს წარმოადგენს პროექტების გარემოსდაცვითი შეფასების დაგეგმვის ადრეულ ეტაპზე. საზოგადოების ჩართვა პროექტის ადრეულ სტადიაზე ხელს უწყობს უკეთესი პროექტების შემუშავებას, მათ უკეთეს განვითარებას და ერთობლივ მართვას.

ერგბ-ს კლასიფიკაციის თანახმად პროექტი განეკუთვნება A კატეგორიას და, შესაბამისად, აუცილებელია, რომ ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება და საჯარო კონსულტაციების ციკლი შესრულდეს A კატეგორიის პროექტებისადმი ერგბ-ს მოთხოვნების შესაბამისად. ერგბ-ს წესების თანახმად გზშ-ს საჯარო განხილვების პროცესი A კატეგორიის პროექტისათვის მოიცავს 120 დღეს.



შესაბამისად, გზშ-ს საჯარო განხილვების პროცესში საზოგადოების განსასჯელად წარმოდგენილი იყო პროექტის “ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ)” პირველი ვარიანტი და არატექნიკური რეზიუმე.

გზშ-ს დოკუმენტაციის განხილვის 120 დღიან ციკლს წინ უძღვოდა წინასწარი გარემოზე ზემოქმედების შეფასების (სკოპინგის) საჯარო განხილვა.

პროექტის “მუნიციპალური მყარი ნარჩენების მართვა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში” მიზანს წარმოადგენს ახალი სანიტარული ნაგავსაყრელის მშენებლობას დაბა ჩაქვში, ნარჩენების შეგროვების არსებული სისტემის რეორგანიზაცია და დამოუკიდებელი კომპანიის დაფუძნება, რომელიც განახორციელებს შემოთავაზებული ნაგავსაყრელის ექსპლოატაციას. ბათუმსა და ქობულეთში არსებული, სტანდარტებთან შეუსაბამო ნაგავსაყრელების დახურვა ასევე არის პროექტის შემადგენელი ნაწილი, რაც შეეხება ბათუმის ნაგავსაყრელის დახურვასთან დაკავშირებულ ისეთ სპეციფიკურ საკითხებს, როგორც არის მდ. ჭოროხის ნაპირსამაგრი სამუშაოები, ეს საკითხები ცალკე პროექტის და შესაბამისი გზშ-ს საგანია.

შეხვედრებს ესწრებოდნენ:

ნოდარ კონცელიძე – აჭარის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო, ლასლო ირიცი – SWECO International, თეა მელიქაძე – ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, ირაკლი კავილაძე - SWECO International- ის გარემოსდაცვითი ექსპერტი, მედგარ ჭელიძე - SWECO International- ის გარემოსდაცვითი ექსპერტი, ქეთი დგებუაძე - SWECO International- ის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომინიკაციის ექსპერტი.

ასევე, ესწრებოდნენ: მხარეთა გამგებლები, ოფიციალური პირები, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები, მასმედიის წარმომადგენლები და ადგილობრივი სოფლების/ქალაქების მოსახლეობა.

პრეზენტაციები: შეხვედრა გახსნა კახაბერ გუჩმაანიძემ – აჭარის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს უფროსის პირველმა მოადგილემ, რომელიც მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა ხალხს გამოჩენილი დაინტერესებისათვის, საზოგადოებასთან კონსულტაციების პროცესში მონაწილეობისთვის, რაც დიდად წაადგება მომავალ საქმიანობაში ხალხის აზრის გათვალისწინებას და მოუწოდა მათ დიალოგისაკენ.

პრეზენტაციის პირველი ნაწილი წარმართა ქეთი დგებუაძემ, Sweco International- ის საზოგადოებასთან ურთიერთობის კონსულტანტმა, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას ინფორმაცია მიაწოდა პროექტის დამფინანსებელ ინსტიტუტებზე და პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების განმახორციელებელ შვედურ კომპანიაზე - Sweco International –ზე, აგრეთვე საზოგადოების ინფორმირებასა და დაინტერესებულ მხარეების კონსულტაციებთან დაკავშირებით ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (ერგბ) სოციალური და გარემოსდაცვითი გარანტიების პოლიტიკაზე და პროცედურებზე და საქართველოს კანონმდებლობაზე. საზოგადოებასთან ურთიერთობის კონსულტანტმა, ყურადღება



გაამახვილა **საზოგადოებასთან კონსულტაციებისა და საჯარო განხილვების გეგმაზე** და მასში შეტანილ ცვლილებებზე, რომელიც მომზადებულ იქნა ერგო - ს პროცედურების თანახმად, რომელშიც დეტალურად არის განხილული ინფორმაციის გამოქვეყნების პროცესი, საკომუნიკაციო არხები თითოეული დაინტერესებული მხარისთვის, საზოგადოების კომენტარების და გასაჩივრების პროცედურები, როგორც სკოპინგის პროცესის, ასევე გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის მომზადების პროცესში დაგეგმილი საჯარო განხილვების დროს. კონსულტანტმა დამსწრეებს წარუდგინა აგრეთვე, საზოგადოებრივი კონსულტაციების დროის განრიგი და საჯარო საჩივრის ფორმა და აღნიშნა, რომ გზშ დოკუმენტის მომზადების პროცესში მიმდინარე საჯარო განხილვები წარმოადგენს გზშ კონსულტაციების პირველ რაუნდს, გზშ-ს საბოლოო ვერსიასთან დაკავშირებული საჯარო განხილვების მეორე რაუნდი ჩატარდება 2009 წლის აპრილში, რაზედაც დამატებით მოხდება საზოგადოების ინფორმირება სხვადასხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით.

პრეზენტაციის მეორე ნაწილი წარმართეს SWECO International-ის გარემოსდაცვითმა ექსპერტებმა: ირაკლი კავილაძემ და მედგარ ჭელიძემ, რომელთაც დამსწრეებს გააცნეს გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის პირველი ვარიანტი, კერძოდ:

ი.კავილაძემ დამსწრეებს მოუთხრო პროექტის მიზნებზე, მოკლედ აღწერა აჭარის ნარჩენების მართვის არსებული მდგომარეობა, დეტალურად განიხილა ბათუმის და ქობულეთის არსებული ნაგავსაყრელების ადგილმდებარეობის და მართვის შეუსაბამობა როგორც საქართველოს, ისე საერთაშორისო კანონმდებლობასთან. მან დამსწრეებს წარუდგინა გზშ-ს ანგარიშის სტრუქტურა, და ის საკანონმდებლო ბაზა, რომლის შესრულებაც აუცილებელია პროექტის განხორციელებისას.

მ. ჭელიძემ დეტალურად განიხილა ახალი ნაგავსაყრელის მშენებლობისათვის ადგილის შესარჩევად ჩატარებული სამუშაოები, როგორც ადგილობრივი ხელისუფლების (აჭარის სამთავრობო კომისიის), ასევე საერთაშორისო კონსულტანტების მხრიდან; აღწერა მათ მიერ გამოყენებული მეთოდოლოგია და ის ძირითადი კრიტერიუმები, რომელზე დაყრდნობითაც ხდებოდა ადგილის შერჩევა. მან ისაუბრა აგრეთვე, მიწის შესყიდვასა და განსახლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, განიხილა ის საერთაშორისო პროცედურები და საქართველოს კანონმდებლობა, რომელთა გამოყენებაც მოხდება პროექტისათვის შესასყიდი მიწის მფლობელებთან ურთიერთობაში. კერძოდ, საზოგადოებას ეცნობა, რომ პროექტისათვის შესაძენი მიწის სანაცვლოდ მიწის მფლობელებს მიეცემათ შესაბამისი კომპენსაცია სხვა ადეკვატური მიწის ნაკვეთის ან ფულადი სახით. მ. ჭელიძემ ისაუბრა აგრეთვე, გარემოზე იმ პოტენციურ ზემოქმედებაზე, რომელიც შესაძლოა განხორციელდეს ახალი ნაგავსაყრელის დაგეგმვის, მშენებლობის და ოპერირების ფაზებში, ასევე, იმ შემარბილებელ ღონისძიებებზე, რომლებიც საშუალებას მოგვცემს თავიდან იქნას აცილებული ან შერბილებული გარემოზე უარყოფითი ზეგავლენა. მან აღწერა ის სოციალური ზემოქმედება, რომელიც შეიძლება განპირობებული იყოს ახალი ნაგავსაყრელის მშენებლობის შედეგად; განიხილა ყველა ის აუცილებელი ქმედება, რომელიც უნდა განხორციელდეს არსებული ნაგავსაყრელების დახურვის მიზნით.



პრეზენტაციას მოჰყვა კითხვა-პასუხის სესია. სხვადასხვა მონაწილე მხარეების კითხვებზე და კომენტარებზე პასუხები გასცეს პროექტის შესაბამისმა ექსპერტებმა – ი.კავილაძემ, მ.ჭელიძემ, ქ.დგებუაძემ და ლ.ირიციმა. კითხვები და პასუხები მოცემულია ცხრილებში 1, 2 და 3.

ცხრილი № 1.

ჩატარების ადგილი: ბათუმი, შპს “სანდასუფთავების” ოფისი.
ჩატარების დრო: 22 იანვარი, 2009 წელი, 15:30 საათი.

მონაწილეები:

1. კახაბერ გუჩმაანიძე – აჭარის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს უფროსის პირველი მოადგილე
2. ნოდარ კონცელიძე - აჭარის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო
3. ლასლო ირიცი – SWECO International
4. ვაჟა გეგიძე - აჭარის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო
5. გიგა ვარშალომიძე – გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო
6. ლელა ნოზაძე - აჭარის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო
7. ნოდარ კანდელაკი – დაავადებათა კონტროლის ცენტრი (NCDC), ჯანდაცვის სამინისტრო
8. ნინო გიგინეიშვილი – შ.პ.ს. “სანდასუფთავების” გარემოს დაცვის სპეციალისტი
9. ირმა ჩხეიძე - შ.პ.ს. “სანდასუფთავების” სერვისცენტრის მთავარი სპეციალისტი
10. ბადრი ცინცილაძე – შპს “სანდასუფთავების” დირექტორი
11. გოლეთიანი ქეთევანი – შპს “სანდასუფთავება”
12. ლორთქიფანიძე ისრაფილი - შპს “სანდასუფთავება”
13. გულნაზ სურმანიძე – შავი ზღვის ეკო-აკადემია
14. ეკატერინე ხვედელიძე – შავი ზღვის ეკო-აკადემია
15. რევაზ დგვეფაძე – არასამთავრობო ორგანიზაცია “მოდუს ვივენდი”
16. ჯიმშერ მამუჭაძე – ასოციაცია “ფსოვი”
17. პაატა ჭანკოტაძე – არასამთავრობო ორგანიზაცია “მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის”
18. ლევან იმედაძე – USFC-ს წარმომადგენელი საქართველოში
19. მინდია საბაძე - USFC-ს ფინანსური მენეჯერი
20. იზოლდა მაჭუტაძე – ველური ბუნების დაცვის საზოგადოება “ჭაობი”
21. ნანა სხილაძე - ველური ბუნების დაცვის საზოგადოება “ჭაობი”
22. დავით ჭიპაშვილი – არასამთავრობო ორგანიზაცია “მწვანე ალტერნატივა”
23. ირაკლი კავილაძე - SWECO International- ის გარემოსდაცვითი ექსპერტი
24. მედგარ ჭელიძე - SWECO International- ის გარემოსდაცვითი ექსპერტი
25. ქეთი დგებუაძე - SWECO International- ის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომინიკაციის ექსპერტი
26. ნინო ცხვარაძე – გაზეთი “აჭარა”

შენიშვნა: დაინტერესებული მხარეები და ადგილობრივი მოსახლეობა გაფრთხილებული იქნა 2008 წლის 18 დეკემბერს ადგილობრივი (“აჭარა”) და ცენტრალური (“24 საათი”) გაზეთების საშუალებით, აგრეთვე კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ელექტრონული ქსელით, აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს

ვებგვერდის, ორჰუსის ცენტრის ვებგვერდის და ადგილობრივი მუნიციპლიტეტების (ბათუმის, ქობულეთის, ხელვაჩაურის, ჩაქვის) საშუალებით. გზშ-ს პროექტი და არატექნიკური რეზიუმეს ელექტრონული ვერსიები ქართულ და ინგლისურ ენებზე ხელმისაწვდომი იყო აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ვებგვერდზე (ბათუმი), საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების ოფისში (თბილისი), ორჰუსის ცენტრში (თბილისი), კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის ოფისში (თბილისი), ხოლო ბეჭდური ვერსიები ხელმისაწვდომი იყო ბათუმის, ხელვაჩაურის, ქობულეთის, ჩაქვის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ შენობებში და აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოში. გზშ-ს არატექნიკური რეზიუმეს რამდენიმე ეგზემპლარი დარიგდა აგრეთვე ჩაქვის ახალი ნავაგსაყრელის ახლო მცხოვრებ მოსახლეობას შორის.

კითხვა-პასუხის სესია:

№	კითხვა/კომენტარი	ავტორი	ექსპერტთა კომენტარები
1.	ჩატარდება თუ არა გზშ-ს საჯარო განხილვების მეორე რაუნდი და სად?	დ. ჭიპაშვილი	საზოგადოებასთან კონსულტაციებისა და საჯარო განხილვების გეგმის თანახმად, რომლის შესწორებული ვერსიაც აქ არის წარმოდგენილი, გზშ-ს საჯარო განხილვების მეორე რაუნდი ჩატარდება 2009 წლის 21-22 აპრილს ბათუმში, ქობულეთსა და ჩაქვში, რომლის შესახებაც დამატებით ეცნობება დაინტერესებულ საზოგადოებას სხვადასხვა საკომუნიკაციო არხებით.
2.	დღესდღეობით სად ხდება აჭარაში სამედიცინო ნარჩენების განთავსება?	ნოდარ კანდელაკი	საკითხი არ ეხება უშუალოდ განსახილველ პროექტს, მაგრამ მისი მნიშვნელობის გათვალისწინებით პასუხი გაცემულ იქნა აჭარის არ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს წარმომადგენლების მიერ. პირველ ეტაპზე საშიში ნარჩენების შეგროვება ხდება მათი წარმოქმნის ადგილებზე, შემდეგ ისინი გროვდება საშიში ნარჩენების მართვის ერთიანი გეგმის თანახმად და ხდება მათი დროებითი განთავსება ბეკერის ორმოში, ამასთანავე, დასრულების ეტაპზე საშიში სამედიცინო ნარჩენების ინსინირატორის დამონტაჟების პროცესი და დანადგარის ამოქმედების შემდეგ აღნიშნული საშიში ნარჩენების გაუვნებელყოფა მოხდება ინსინირების გზით.



<p>3.</p>	<p>სად ხდება საშიში გადანაყრების განთავსება?</p>	<p>ნოდარ კანდელაკი</p>	<p>საკითხი არ ეხება უშუალოდ განსახილველ პროექტს, მაგრამ მისი მნიშვნელობის გათვალისწინებით პასუხი გაცემულ იქნა აჭარის არ გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს წარმომადგენლების მიერ. აღნიშნული საკითხი მთელს საქართველოში პრობლემას წარმოადგენს. დღესდღეობით არ არსებობს საშიში გადანაყრების განთავსების ობიექტები, შესაბამისად ხშირად მათი არევა ხდება საყოფაცხოვრებო ნარჩენებში და ამ შემთხვევაში, ისეთი ტიპის საშიში ნარჩენები, როგორცაა ზეთით და საწვავით დაბინძურებული ჩვრები, საღებავების და გამსხნელების ნარჩენები და ა.შ. ხდება მყარი მუნიციპალური ნარჩენების ნაგავსაყრელებზე. უფრო სპეციფიკური და საშიშროების უფრო მაღალი კლასის სახიფათო ნარჩენების განთავსება ხდება კონკრეტული საწარმოს და პროექტის შესაბამისად. ერთიანი სისტემის არქონის სიტუაციაში ამ პროცესის კონტროლი ძნელია. უნდა აღინიშნოს, რომ საშიში გადანაყრების რაოდენობა საქართველოს მასშტაბით პროცენტულად ძალიან მცირეა.</p>
<p>4.</p>	<p>კარგია, რომ არსებული ნაგავსაყრელების დახურვა შეტანილია ამ პროექტის გზშ-ს დოკუმენტში, თუმცა გვაქვს ერთი შენიშვნა – დოკუმენტში აღნიშნულია, რომ არსებული ნაგავსაყრელების დახურვისას მათი გადაფარვა მოხდება ინერტული სამშენებლო მასალებით, რაც არ არის ევროპაში არსებული საუკეთესო</p>	<p>დათო ჭიპაშვილი</p>	<p>კონსულტანტის მიერ წარმოდგენილი საინვესტიციო წინადადება მოიცავს ახალი ნაგავსაყრელის მშენებლობის პროექტს და ძველი, სტანდარტებთან შეუსაბამო ნაგავსაყრელების დახურვის საპროექტო გადაწყვეტას. საკუთრივ ერგბ-ს სესხით დაფინანსებული პროექტი მოიცავს მხოლოდ ახალი ნაგავსაყრელის მშენებლობას. ძველი ნაგავსაყრელები უნდა დაიხუროს შევდეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ გამოყოფილი გრანტის თანხებით. ნაგავსაყრელის მშენებლობის პროექტი ხორციელდება ერგბ-ს 2003 წლის წესებით და შესაბამისად არ არის აუცილებელი, რომ პროექტის</p>



	<p>პრაქტიკა.</p>		<p>ყველა კომპონენტი სრულ შესაბამისობაში იყოს ევროკავშირში მიღებულ “საუკეთესო პრაქტიკებთან”. საუკეთესო პრაქტიკა, ამ შემთხვევაში არის გარკვეული მიზანი, რისკენაც უნდა ვისწრაფოდეთ (target goal), ხოლო ერგბ-სათვის წარმოდგენილი პროექტის ფარგლებში დემონსტრირებული უნდა იყოს, რომ ყველა უარყოფითი ზემოქმედება მხედველობაში მიღებულია და წარმოდგენილი ტექნიკური გადაწყვეტა და დაგეგმილი ღონისძიებები ნამდვილად იძლევა ამ ზემოქმედების ეფექტურად (მისაღებ დონემდე) შერბილების საშუალებას ან რისკების მისაღებ დონემდე შემცირების საშუალებას. დღესდღეობით, არათუ საქართველო, არამედ ბევრი ევროპული ქვეყანა არ არის მისული იქამდე, რომ გამოიყენოს არსებული საუკეთესო პრაქტიკა, რაც ხანგრძლივი და თანმიმდევრული პროცესია. ისეთი ტიპის ნაგავსაყრელებისათვის, როგორცაა ქობულეთისა და ბათუმის არსებული ნაგავსაყრელები, და იმ თანხების გათვალისწინებით, რომელიც შეიძლება აჭარის მთავრობამ მოიძიოს ამ ნაგავსაყრელების დასახურად, გზშ-ს დოკუმენტში აღწერილი მიდგომა შეიძლება საუკეთესოდ ჩაითვალოს. ასეთი მიდგომით მოხდებოდა ნაგავსაყრელის დახურვა ევროპის უმეტეს ქვეყნებში ----ჯერ კიდევ სამი წლის წინ. რაც შეეხება დახურვის საუკეთესო პრაქტიკას, რომელიც დღეს არის მიღებული წამყვან ევროპულ ქვეყნებში, ასეთი “საუკეთესო პრაქტიკის” შესაბამისად დახურვის ღირებულება მნიშვნელოვნად აღემატება აჭარის მთავრობის ფინანსურ შესაძლებლობებს.</p>
<p>5.</p>	<p>პროექტის მიხედვით ახალ ნაგავსაყრელზე</p>	<p>დ. ჭიპაშვილი</p>	<p>გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტში (პ. 9.4) მოყვანილია</p>

<p>მოხდება წარმოქმნილი აირების შეგროვება და დაწვა. ჩვენი ორგანიზაციის აზრით ხომ არ ჯობია აირების დაწვის მაგიერ მოხდეს მისგან ენერჯის მიღება?</p>		<p>ბიოგაზების შეგროვების და უტილიზაციის სქემა, რომელიც გულისხმობს შეგროვებული გაზის ნაწილის უტილიზაციას მცირე სიმძლავრის გენერატორების და ნარჩენის გაზის დასაწვავი “ჩირაღდნის” მონტაჟს. გენერატორების და მთლიანად გაზის შეგროვების და უტილიზაციის სისტემის მონტაჟი გათვალისწინებულია ნაგავსაყრელის ექსპლუატაციაში შესვლიდან 3 წლის შემდეგ. გენერატორები გამოყენებულ იქნება ძირითადად ობიექტის (ნაგავსაყრელის) ენერგოუზრუნველყოფისათვის, მათი გამოყენების რენტაბელურობის შესაბამისად. იმ შემთხვევაში, როდესაც არ ხდება გენერატორების გამოყენება ან რჩება ჭარბი გაზი, მოხდება მისი გარემოსდაცვითი თვალსაზრისით უსაფრთხო უტილიზაცია “ჩირაღდანში” დაწვის მეშვეობით. წარმოდგენილი საინვესტიციო პროექტით ბიოგაზის შეგროვების, გენერატორების და გაზის უტილიზაციის სისტემისათვის გათვალისწინებულია 1003000 ევრო. ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებაში მოყვანილი შემოსავლის სტრუქტურა გულისხმობს გამომუშავებული ელექტროენერჯის ენერგოდისტრიბუციის კომპანიებისათვის მიყიდვის შესაძლებლობას. თუმცა შემოსავლის ეს კომპონენტი არ არის გათვალისწინებული ტარიფის დაანგარიშებისას და ობიექტის ფუნქციონირების მდგრადობის შეფასებისას. ამის მიზეზს წარმოადგენს სისტემის ეკონომიკური ეფექტურობის და ელექტროენერჯის გაყიდვის შედეგად შემოსავლის გენერირების არასაიმედოობა. სწორედ სისტემის ეკონომიკური მომგებიანობა იქნა დაყენებული ეჭვის ქვეშ საჯარო განხილვების პროცესში.</p> <p>ჩირაღდანი არის გაზის შეგროვების</p>
--	--	--

			<p>და უტილიზაციის სისტემის ნაწილი და ძირითადად გამოყენებულ იქნება საწყის ეტაპზე, სანამ გაზის გამოყოფა მიაღწევს ელექტო ენერჯის გენერირებისათვის საჭირო სტაბილურ დონეს, და ასევე სარემონტო სამუშაოების დროს. ჩირადნის და გენერატორების მახასიათებლები და მათი ზუსტი განლაგების სქემა დამუშავებული იქნება დეტალური ტექნიკური პროექტის შემუშავების ეტაპზე.</p>
6.	<p>რა სიმაღლეზეა გრუნტის წყლები ჩაქვის ახალი ნაგავსაყრელის ტერიტორიაზე? არსებობს თუ არა ოფიციალური მონაცემები?</p>	<p>ნ. კანდელაკი</p>	<p>პასუხი გასცა ნ.კონცელიძემ. დიახ, ასეთი მონაცემები არსებობს. გრუნტის წყლები ძირითადად წარმოდგენილია ღრმა ცირკულაციის გრუნტის წყლებით, რომელთა განლაგების სიღრმე 27 მეტრამდეა. ნაგავსაყრელი ტერიტორიის პერიფერიაზე არსებულ ხრამებში ხდება ზედაპირული გრუნტის წყლების ნაწილის (ფერდობული წყლების) განტვირთვა. საჭიროა მოხდეს ყველა მიწისქვეშა წყლების, რომლებიც განიტვირთებიან ზედაპირზე, კაპტაჟი და სადრენაჟო არხებით განიტვირთოს მდ. ჩაქვისწყლის კალაპოტში. ამ წყლების, ისევე როგორც წვიმის შედეგად წარმოქმნილი ზედაპირული წყლის და არაღრმა გრუნტის წყლების (ჩამონარეცხი წყალი) შეგროვებას და გაწმენდას ემსახურება სპეციალური სადრენაჟო სისტემა და გამწმენდი ნაგებობა დაგეგმილ პროექტში.</p>
7.	<p>რატომ არ არის ნახსენები გზშ-ს დოკუმენტში გაბატონებული ქარების შესახებ?</p>	<p>ნ. კანდელაკი</p>	<p>გარემოს არსებული მდგომარეობის აღწერაში მოცემულია გაბატონებული ქარების ცხრილი. ეს მონაცემები, ისევე როგორც რელიეფი, კლიმატი და ა.შ. გამოყენებული იქნება წარმოქმნილი გაზების ემისიების ზემოქმედების ანალიზისას, რისი შედეგებიც წარმოდგენილი იქნება გზშ-ს ბოლო ვერსიაში.</p>
8.	<p>გაკეთდება თუ არა განსახლების სამოქმედო გეგმა აღნიშნული პროექტის</p>	<p>იზოლდა მაჭუტაძე</p>	<p>500 მ-იან სანიტარული დაცვის ზოლში ხვდება 44-მდე კერძო ნაკვეთი და 7 სახლი. შესაძლოა გზშ პროცესში მოხდეს</p>

	ფარგლებში?		სანიტარული დაცვის ზონის შემცირება და მაშინ ზემოქმედება ნაკლებ ოჯახს შეეხება (როგორც მინიმუმ 10 ნაკვეთი და 7 სახლი). შესაბამისად, პროექტის ამ ეტაპზე ჩვენ უკვე შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ განსახლების სამოქმედო გეგმა აუცილებლად მოსამზადებელი იქნება, რათა დაკმაყოფილდეს ერგბ-ს სოციალური მოთხოვნები.
9.	არის თუ არა მსგავსი ტიპის პროექტები განხორციელებული ევროპის სხვა ქვეყნებში, თუ საქართველო საცდელ ქვეყანას წარმოადგენს?	რ. დგვეფაძე	პროექტი ევროპაში მრავალი წლის განმავლობაში ევროპულ ქვეყნებში აპრობირებულ ტექნოლოგიას. ამ ტიპის ნაგავსაყრელები ითვლება საუკეთესო პრაქტიკად ევროპაში და შესაბამისად ყველა წამყვანი ევროპული ქვეყანა იყენებს მას.
10.	გზშ-ს დოკუმენტში არ არის საუბარი მომსახურების ტარიფებზე, გვანტერესებს რა გავლენას იქონიებს სხვადასხვა სოციალურ ფენებზე აღნიშნული პროექტი?	დ. ჭიპაშვილი	აღნიშნული კვლევა SWECO-ს კონსულტანტების მიერ მომზადებულია და წარმოდგენილია ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებაში.
11.	არის თუ არა შემუშავებული ნაგავსაყრელის მართვის გეგმა?	დ. ჭიპაშვილი	ნაგავსაყრელის მართვის და მონიტორინგის გეგმები შემუშავებული და წარმოდგენილი იქნება ნაგავსაყრელის ოპერატორი კომპანიის მიერ. გზშ-ში წარმოდგენილი იქნება ნაგავსაყრელის მშენებლობის და ექსპლუატაციის ფაზის შესაბამისი სამენეჯმენტო გეგმა, რომელსაც აქვს სახელმძღვანელო მითითებების სახე. სწორედ ამ სახელმძღვანელო მითითებებს უნდა ევროპაში კონტრაქტორის მართვის გეგმა, ისევე როგორც მშენებლობასთან დაკავშირებული მენეჯმენტის და მონიტორინგის გეგმები, რომლებიც წარმოდგენილი იქნება მშენებელი კონტრაქტორის მიერ.
12.	გზშ-ს დოკუმენტში არ არის ნახსენები ის სოციალური საკითხი, რომელიც იკვეთება აჭარის მოსახლეობის ირიბ	დ. ჭიპაშვილი	აღნიშნული საკითხი ძალიან მოკლედ არის ნახსენები გზშ-ს ანგარიშში, თუმცა გზშ-ს შესაბამისი თავი მოსახლეობასთან კონსულტაციების პროცესში შეივსება და ამ თავში ან ცალკე

	ზემოქმედებასთან დაკავშირებით.		წარმოდგენილ დანართში უფრო დეტალურად იქნება აღნიშნული საკითხი განხილული.
13.	თუ მოხდა სასტუმროებთან და ტურ-ოპერატორებთან ურთიერთობა?	დ. ჭიპაშვილი	ცალკეულ ტუროპერატორებთან ურთიერთობა არ გვექონია, მაგრამ გვექონდა ტურიზმის განვითარებისათვის ნარჩენების მართვის სისტემის გაუმჯობესების აუცილებლობაზე საუბრები ტურიზმის განვითარებაზე პასუხისმგებელ პირებთან.

ცხრილი № 2.

ჩატარების ადგილი: ქობულეთი, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობა.
ჩატარების დრო: 23 იანვარი, 2009 წელი, 11.00 საათი.

მონაწილეები:

28. ნოდარ კონცელიძე - აჭარის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო
29. ლასლო ირიცი – SWECO International
30. ირაკლი კავილაძე - SWECO International- ის გარემოსდაცვითი ექსპერტი
31. მედგარ ჭელიძე - SWECO International- ის გარემოსდაცვითი ექსპერტი
32. ქეთი დგებუაძე - SWECO International- ის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომინიკაციის ექსპერტი
33. თეა მელიქაძე – ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი
34. გია ვერულიძე – კეთილმოწყობის სამსახური
35. რუსლან ოქროპირიძე – ეკონომიკური განვითარების სამსახური, ქონების მართვის განყოფილება
36. ზურაბ ბაუშაძე – ქობულეთის მუნიციპალიტეტი
37. როსტომ მჭავანაძე – ქობულეთის სანდასუფთავების უფროსის მოადგილე
38. მანუჩარ რომანაძე – ზედამხედველობის სამსახურის სპეციალისტი
39. ბესიკ ბაქანიძე – ზედამხედველობის სამსახური
40. ზვიადი რომანაძე – ზედამხედველობის სამსახური
41. ნუგზარ სუთიძე – ჯანდაცვის და სოციალური სამსახური
42. ინგა გოგიტიძე – ზედამხედველობის სამსახური
43. მამუკა ხაბაზი – ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა
44. ასლან ყურშუბაძე – მთავრობის წარმომადგენელი ქობულეთში
45. სულხან მოწყობილი – ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა
46. გია გოლიაძე – ინფრასტრუქტურის სამსახური
47. ზაალ ბაჯელიძე – არქიტექტურული და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი
48. ლევან იმედაძე – USFC-წარმომადგენელი საქართველოში
49. მინდია საბაძე – USFC-წარმომადგენელი საქართველოში
50. დავით ჭიპაშვილი – “მწვანე ალტერნატივა”

კითხვა-პასუხის სესია:

№	კითხვა/კომენტარი	ავტორი	ექსპერტთა კომენტარები
1.	არის თუ არა გათვალისწინებული არსებული ნაგავსაყრელების დახურვის ფინანსური უზრუნველყოფა?	გია გოლიაძე	ამ თემაზე მუშაობა მიმდინარეობს. უშუალოდ ერგბ-ს სესხით ხდება მხოლოდ ახალი ნაგავსაყრელის მშენებლობის პროექტის დაფინანსება. შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს გრანტით ხდება არსებული ნაგავსაყრელების დახურვის დაფინანსება პროექტში



			წარმოდგენილი კონცეფტუალური მიდგომის შესაბამისად. 1587500 ევრო გათვალისწინებულია ამ ეტაპზე. ახალი ნაგავსაყრელის მშენებლობა არის წინაპირობა ძველი ნაგავსაყრელების დახურვისათვის. უფრო სპეციფიკური და უფრო ძვირადღირებული სამუშაოები (მაგ. ნაპირსამაგრი სისტემის მშენებლობა) მოითხოვს დამატებით დაფინანსების წყაროების მოძიებას.
2.	საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით რამდენ მეტრს შეადგენს სანიტარული დაცვის ზონის ფარგლები?	გია გოლიაძე	საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს 2003 წლის №36 ბრძანებულების თანახმად სანიტარული დაცვის ზონის საზღვარი დგინდება, როგორც 500 მეტრი ნაგავსაყრელის გარშემო, თუმცა გარკვეული ეკოლოგიური დასაბუთების შემთხვევაში ეს ზონა შეიძლება შემცირდეს.
3.	რამდენი წელი მოემსახურება ახალი ნაგავსაყრელი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას?	ასლან ყურშუბაძე	პროექტით გათვალისწინებულია ექსპლუატაციის 30 წელი.
4.	ქობულეთში ბოლო ერთი წელიწადია ფაქტიურად აღარ ხდება არსებულ ნაგავსაყრელზე ნარჩენების განთავსება, ვინაიდან მის მახლობლად გაიხსნა სამხედრო აეროდრომი, ამიტომ დღეისათვის ქობულეთის რაიონში წარმოქმნილი ნარჩენების განთავსება ხდება სხვა ტერიტორიაზე. აღნიშნული პროექტით გათვალისწინებულია თუ არა ქობულეთის აღნიშნული ნაგავსაყრელის დახურვა?	გია გოლიაძე	პროექტში განხილულია ქობულეთის ახალი ნაგავსაყრელის დახურვის შესაძლებლობა და იხილება ორი შესაძლო ვარიანტი: პირველი – ვინაიდან ნაგავსაყრელი ახალი გახსნილია და განთავსებული ნარჩენების რაოდენობა დიდი არ არის, შესაძლებელია ჩაქვის ახალი ნაგავსაყრელის გახსნისას მოხდეს ამ ნაგავსაყრელზე დაგროვილი ნარჩენების ჩაქვის ახალ ნაგავსაყრელზე გადატანა. მეორე – მოხდება ქობულეთის მეორე ნაგავსაყრელის ინერტული მასალებით და ნიადაგით გადაფარვა. პროექტის ამ კომპონენტისათვის გამოყოფილია 163500 ევრო.
5.	როცა მოხდება არსებული ნაგავსაყრელების	ზაალ ბაჯელიძე	ნაგავსაყრელების დახურვა ითვალისწინებს არსებული ლანდშაფტის აღდგენას, თუმცა

	დახურვა, რა დანიშნულებით მოხდება სახელმწიფოს მიერ ამ ტერიტორიების გამოყენება?		მძიმე ნაგებობების მშენებლობების წამოწყება აღნიშნულ ტერიტორიებზე არ არის რეკომენდებული. არ შეიძლება ამ ტერიტორიის სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისათვის გამოყენება. შესაძლებელია დეკორატიული მცენარეების მოშენება, ბაღების ან სკვერების მოწყობა და ა.შ.
6.	არსებული ნაგავსაყრელების დახურვის შემდეგ კიდევ თუ მოქმედებს სანიტარული დაცვის ზონა?	ასლან ყურშუბაძე	არსებული ნაგავსაყრელების დახურვის შემდეგ აღდება არსებული ლანდშაფტი და მოხდება გამოყოფილი გაზების შეგროვება და დაწვა, რაც შეეხება სანიტარულ ზონებს - აღარ იმოქმედებს. იქნება მხოლოდ გარკვეული ტიპის ობიექტების მშენებლობაზე შეზღუდვები.
7.	გვანტერესებს ახალი ნაგავსაყრელის მართვის საკითხი – რომელი ორგანიზაცია განახორციელებს მის ექსპლუატაციას?	გია გოლიაძე	ეს პროექტის პრეროგატივა არ არის. იქიდან გამომდინარე, რომ ახალ ნაგავსაყრელზე განთავსდება მთელს აჭარის სანაპირო ზოლზე წარმოქმნილი ნარჩენები, და შესაბამისად ახალი ნაგავსაყრელი იქნება რესპუბლიკის მასშტაბით მოქმედი ობიექტი, ამიტომ აღნიშნული საკითხი აჭარის მთავრობის გადასაწყვეტია.
8.	მას შემდეგ, რაც შეივსება ახალი ნაგავსაყრელი, სად მოხდება ნარჩენების განთავსება, შერჩეულია თუ არა ამისათვის სხვა ტერიტორია?	დ. ჭიპაშვილი	ქობულეთში არ არის ასეთი ადგილი შერჩეული, იმდენად კომპაქტურად არის დასახლებული აღნიშნული ტერიტორია. კითხვა: რა მოხდება 30 წლის შემდეგ? პასუხი: 30 წელი საკმაოდ დიდი ვადაა. დღეს-დღეობით მთელს მსოფლიოში მიმდინარეობს ახალი ტექნოლოგიების შემუშავება, რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი ნაგავსაყრელზე განთავსებული ნარჩენების რაოდენობა. კითხვა: იქნებ იმავე ჩაქვის ტერიტორიაზე აშენდეს გადასამუშავებელი ქარხანა? პასუხი: ამ ეტაპზე აღნიშნული პროექტის ფარგლებში არ არის გათვალისწინებული რაიმე გადასამუშავებელი ტექნოლოგიის მშენებლობა.
9.	საიდან იქნა აღებული ინფორმაცია იმის	დ. ჭიპაშვილი	კურორტებისა და ტურიზმის შესახებ საქართველოს კანონის

	<p>შესახებ, რომ ჩაქვის ტერიტორია არ მიეკუთვნება საკურორტო ზონას?</p>		<p>(1997) მოთხოვნის შესაბამისად დამტკიცებულ “ნუსხასა და სტატუსში” დაბა ჩაქვი არ ფიგურირებს, როგორც კურორტი.</p>
<p>10.</p>	<p>პროექტის მიხედვით ახალ ნაგავსაყრელზე მოხდება წარმოქმნილი აირების შეგროვება და დაწვა. ჩვენი ორგანიზაციის აზრით ხომ არ ჯობია აირების დაწვის მაგიერ მოხდეს მისგან ენერჯის მიღება? კერძოდ, შეიძლება თუ არა აჭარის მთავრობის მიერ თანხის გამოყოფა, რათა მოხდეს გენერატორების შეძენა ელექტროენერჯის მიღების მიზნით?</p>		<p>გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტში (პ. 9.4) მოყვანილია ბიოგაზების შეგროვების და უტილიზაციის სქემა, რომელიც გულისხმობს შეგროვებული გაზის ნაწილის უტილიზაციას მცირე სიმძლავრის გენერატორების და ნარჩენის გაზის დასაწვავი “ჩირაღდნის” მონტაჟს. გენერატორების და მთლიანად გაზის შეგროვების და უტილიზაციის სისტემის მონტაჟი გათვალისწინებულია ნაგავსაყრელის ექსპლუატაციაში შესვლიდან 3 წლის შემდეგ. გენერატორები გამოყენებულ იქნება ძირითადად ობიექტის (ნაგავსაყრელის) ენერგოუზრუნველყოფისათვის, მათი გამოყენების რენტაბელურობის შესაბამისად. იმ შემთხვევაში, როდესაც არ ხდება გენერატორების გამოყენება ან რჩება ჭარბი გაზი, მოხდება მისი გარემოსდაცვითი თვალსაზრისით უსაფრთხო უტილიზაცია “ჩირაღდანში” დაწვის მეშვეობით. წარმოდგენილი საივესტიციო პროექტით ბიოგაზის შეგროვების, გენერატორების და გაზის უტილიზაციის სისტემისათვის გათვალისწინებულია 1003000 ევრო. ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებაში მოყვანილი შემოსავლის სტრუქტურა გულისხმობს გამომუშავებული ელექტროენერჯის ენერგოდისტრიბუციის კომპანიებისათვის მიყიდვის შესაძლებლობას. თუმცა შემოსავლის ეს კომპონენტი არ არის გათვალისწინებული ტარიფის დაანგარიშებისას და ობიექტის ფუნქციონირების მდგრადობის შეფასებისას. ამის მიზეზს წარმოადგენს სისტემის ეკონომიკური ეფექტურობის და ელექტროენერჯის გაყიდვის</p>



		<p>შედეგად შემოსავლის გენერირების არასაიმედობა. სწორედ სისტემის ეკონომიკური მომგებიანობა იქნა დაყენებული ექვს ქვეშ საჯარო განხილვების პროცესში.</p> <p>ჩირადდანი არის გაზის შევროვების და უტილიზაციის სისტემის ნაწილი და ძირითადად გამოყენებულ იქნება საწყის ეტაპზე, სანამ გაზის გამოყოფა მიღწევს ელექტო ენერჯის გენერირებისათვის საჭირო სტაბილურ დონეს, და ასევე სარემონტო სამუშაოების დროს. ჩირადდნის და გენერატორების მახასიათებლები და მათი ზუსტი განლაგების სქემა დამუშავებული იქნება დეტალური ტექნიკური პროექტის შემუშავების ეტაპზე.</p> <p>შენიშვნა: ამ საკითხის ანალიზი უნდა იყოს პროექტში.</p> <p>პასუხი: აუცილებლად იქნება.</p>
--	--	---

ცხრილი № 3

ჩატარების ადგილი: დაბა ჩაქვი, სასტუმრო “ლაზისი”.

ჩატარების დრო: 23 იანვარი, 2009 წელი, 15.00 საათი.

მონაწილეები:

1. ნოდარ კონცელიძე - აჭარის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო
2. ლასლო ირიცი – SWECO International
3. ირაკლი კავილაძე - SWECO International- ის გარემოსდაცვითი ექსპერტი
4. მედგარ ჭელიძე - SWECO International- ის გარემოსდაცვითი ექსპერტი
5. ქეთი დგებუაძე - SWECO International- ის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომინიკაციის ექსპერტი
6. თეა მელიქაძე – ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი
7. ელგუჯა ბაგრატიონი – ჩაქვის გამგებელი
8. ნოდარ შავაძე – აჭარის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო
9. რუსლან ფადავა – ჩაქვის მუნიციპალიტეტის გამგეობის წამყვანი სპეციალისტი
10. ზურაბ დუმბაძე – დაბა ჩაქვის რწმუნებული
11. დავით ჭიპაშვილი – “მწვანე ალტერნატივა”
12. შეხვედრას ესწრებოდა ჩაქვის ნაგავსაყრელის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები 25 მოსახლე/მიწის მფლობელი



კითხვა-პასუხის სესია:

№	კითხვა/კომენტარი	ავტორი	ექსპერტთა კომენტარები
1.	<p>ჩაქვის ნაგავსაყრელის ტერიტორიის ბურღვების პერიოდში ითქვა, რომ აღნიშნული ტერიტორია წარმოადგენს მეწყერსაშიშს, შესაბამისად რამდენად უსაფრთხოა ამ ადგილზე ახალი ნაგავსაყრელის მშენებლობა?</p>	<p>მოსახლე</p>	<p>ამ საკითხზე იმუშავეს კვალიფიციურმა გეოლოგებმა, მათი ინფორმაციით აღნიშნული მეწყერი წარმოადგენს ძველ დასტაბილიზირებულ მეწყერულ სხეულს. მშენებლობა მოხდება ამ მეწყერის არსებობის გათვალისწინებით, სწორი დაგეგმვით და პროექტირებით, რაც პროექტში გათვლილია. მოხდება ჯერ ქვედა ნაწილის შევსება ნარჩენებით და შემდეგ გადასვლა ფერდობის ზედა ნაწილში და აქ ახალი უჯრედების გახსნა. ქვედა შევსებული ნაწილი შექმნის დამატებით საყრდენს და უზრუნველყოფს ფერდობის სტაბილიზაციას.</p>
2.	<p>აღნიშნულ ტერიტორიაზე 3 ნაკადულია, მოხდება თუ არა მათი დაბინძურება ნარჩენებთან შეხების შედეგად?</p>	<p>მოსახლე</p>	<p>დასლო ირიცი: ევროკავშირის მოთხოვნების შესაბამისად პროექტით გათვალისწინებულია დამცავი შრის დაინსტალირება ნაგავსაყრელის ფსკერზე, რათა გამოირიცხოს აქ განთავსებული ნარჩენების კონტაქტი მიწისზედა და მიწისქვეშა წყლებთან, შესაბამისად აღნიშნული ნაკადულების დაბინძურების საშიშროება არ არსებობს. ხოლო რაც შეეხება წვიმის წყალს, რომელიც მოხვდება ნაგავსაყრელზე, შეგროვდება და გაიფილტრება. დრენაჟის სისტემა და წყლის გაწმენდი ნაგებობა ნაგავსაყრელის მნიშვნელოვანი ელემენტია და სათანადოდ არის გათვალისწინებული პროექტში.</p>
3.	<p>ამ ხეობაში მუდმივად არის ქარი და საშიშროება არსებობს აქ განთავსებული ნაგვის გაფანტვის და შესაბამისად მიმდებარე ტერიტორიის დაბინძურების.</p>	<p>მოსახლე</p>	<p>აღნიშნული პროექტის დიზაინი ითვალისწინებს ღობის მშენებლობას ახალი ნაგავსაყრელის ირგვლივ, ასევე განთავსებული ნარჩენების ყოველდღიურად ნიადაგით გადაფარვას, შესაბამისად არ მოხდება ქარის მიერ მიმდებარე ტერიტორიის დაბინძურება.</p>
4.	<p>სოფელ მე-7 რაიონში</p>	<p>მოსახლე</p>	<p>აღნიშნული ნაგავსაყრელი საკმაო</p>



	<p>მოსახლეობა თავს ირჩენს მცირე ბიზნესით, კერძოდ: თევზის ბასეინებით, საქეიფოებით. შესაბამისად, ნაგავსაყრელის მშენებლობა ძალიან დიდ ზიანს მიაყენებს მათ მცირე ბიზნესს.</p>		<p>მანძილით იქნება დაშორებული (დაახლოებით 1-3 კილომეტრი) ამ სოფლიდან, ამასთან სოფელი ნაგავსაყრელიდან ქედით არის გამოყოფილი. გამორიცხული იქნება რეალური ფიზიკური ზემოქმედება სოფელზე (ემისიები, სუნი, წყლის დაბინძურება და ა.შ.). უფრო დეტალურად სოციალური ზემოქმედების საკითხი განხილული იქნება გზშ-ს საბოლოო ვარიანტში.</p>
<p>5.</p>	<p>ჩაქვის ტერიტორიას გარს აკრავს ბოტანიკური ბაღი, საზღვაო ზონა, დაცული ტერიტორია - მტირალას მთა, აქვეა სასტუმრო "ოაზისი", რა ზეგავლენას მოახდენს ნაგავსაყრელი ამ ტერიტორიებზე?</p>		<p>ფიზიკურად ნაგავსაყრელის ტერიტორია იზოლირებულია ხსენებული ობიექტებისაგან და საკმაოდ დაშორებული მათგან. შესაბამისად გამორიცხული იქნება რეალური ფიზიკური ზემოქმედება (ემისიები, სუნი, წყლის დაბინძურება და ა.შ.). ბოტანიკური ბაღი და ზღვის სანაპირო ზოლი შესაბამისად 1 და 2კმ-ით დაშორებულია ნაგავსაყრელის ადგილიდან და გამოყოფილია რელიეფურად მაღალი გორაკ-ბორცვიანი სისტემით.</p>
<p>6.</p>	<p>კომენტარი: აჭარის ტელევიზიის საშუალებით 22 იანვარს გაუქდა ბათუმში ჩატარებული საჯარო განხილვები, სადაც გაიჟღერა არასწორმა ინფორმაციამ იმის თაობაზე, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე ნაგავსაყრელის მშენებლობის საკითხი უკვე გადაწყვეტილია, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს.</p>	<p>დ.ჭიპაშვილი</p>	<p>წარმოდგენილი გზშ-ს ეკოლოგიური ექსპერტიზის და სათანადო დასკვნის საფუძველზე მშენებლობის ნებართვის გაცემამდე საკითხი გადაწყვეტილად ვერ ჩაითვლება.</p> <p>რაც შეეხება სატელევიზიო სიუჟეტს განვიმარტავთ, რომ გამომსვლელმა აღნიშნა, რომ ნაგავსაყრელი პოლიგონის მშენებლობისათვის შესაბამისი ტერიტორია არის გამოყოფილი, რაც საჯარო განხილვების შემდეგ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ იქნება განხილული.</p>
<p>7.</p>	<p>მთავრობის ცვლილების შემთხვევაში რა გარანტიები არსებობს, რომ შემდეგი მთავრობა ისევ დაიცავს იმ</p>	<p>მოსახლე</p>	<p>პროექტი დაფინანსებულია ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ, შესაბამისად მისი განხორციელება იწარმოებს ერგბ-ს მუდმივი მონიტორინგის ქვეშ. რაც შეეხება ოპერირების ფაზას ამ ეტაპზე დიდი მნიშვნელობა აქვს</p>



	<p>სტანდარტებს, რომელზეც აქ არის საუბარი?</p>		<p>აგრეთვე საზოგადოებრივ მონიტორინგს, რომელშიც აუცილებლად ჩართული იქნება ადგილობრივი მოსახლეობა, სწორედ თქვენზეც იქნება დამოკიდებული დაგეგმილი პროექტის განხორციელების ხარისხი. მონიტორინგი ასევე განხორციელდება გარემოს დაცვის და ჯანდაცვის სამინისტროების მხრიდან და დარღვევების შემთხვევაში ამოქმედდება როგორც საჯარიმო სანქციები, ასევე შესაძლებელია სასამართლოში საქმის აღძვრა.</p>
<p>8.</p>	<p>დაისვა კითხვა იმის თაობაზე, რომ ჩაქვის ზოგიერთმა მაცხოვრებელმა არ იცოდა აღნიშნული საჯარო განხილვების შესახებ და აღნიშნული შეხვედრის შესახებ ინფორმაცია შემთხვევით გაიგო აჭარის ტელევიზიის საშუალებით.</p>	<p>მოსახლეები</p>	<p>ინფორმაცია საჯარო განხილვების შესახებ გამოცხადდა როგორც ადგილობრივი (გაზეთი “აჭარა”), ისე ცენტრალური (“24 საათი”) პრესის საშუალებით, ასევე შესაბამისი ინფორმაცია (ამობეჭდილი ვერსიები) გადაეცა ჩაქვის გამგებელს 2008 წლის 24 დეკემბერს. 2008 წლის 23 დეკემბერს დაბა ჩაქვის დასახლებულ პუნქტებში (დაგეგმილი ნაგავსაყრელის 500 მეტრიან რადიუსში) 7-8 ოჯახში დარიგდა შესაბამისი ინფორმაცია დაგეგმილი საჯარო განხილვების შესახებ. უშუალოდ შეხვედრის ჩატარების წინა დღეს და დღით, შეხვედრის დაწყებამდე, მე-7 მიკრორაიონის და სოფ. ჩაისუბნის მოსახლეობას კონსულტანტის წარმომადგენლებმა დამატებით შეატყობინეს საჯარო განხილვის შესახებ. თავად ის ფაქტი, რომ განცხადება საჯარო შეხვედრის შესახებ მოსახლეობის ნაწილმა გაიგო აჭარის ტელევიზიიდან, მეტყველებს მოსახლეობის ინფორმირების სხვადასხვა არხის გამოყენებაზე და არა ამ ინფორმაციის “შემთხვევით გაგებაზე”. ინფორმირების პროცესის გაუმჯობესების მიზნით, კონსულტანტის მიერ შეთავაზებულ იქნა, რომ მიმდებარე ტერიტორიაზე მოსახლე მაცხოვრებელთაგან შეიქმნას უფლებამოსილ წარმომადგენელთა ჯგუფი. ინდივიდუალური შეხვედრების</p>



			გარდა, მოეწეობა ამ ჯგუფთან კონსულტაციები საქართველოს კანონმდებლობის და ერგბ-ს მოთხოვნების შესაბამისად.
9.	რაც არ უნდა მაღალი დონის ნაგავსაყრელი აშენდეს მას მაინც ნაგავსაყრელი ქვია და ყველა შემთხვევაში შეამცირობს ტურისტთა რაოდენობას რაიონში.	მოსახლეები	იმის გამო, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე განთავსდება მთელი აჭარის სანაპირო ზოლში წარმოქმნილი ნარჩენები, აჭარის მთავრობას წარედგინება წინადადებები, რომ შეიმუშაოს საკომპენსაციო ღონისძიებები/პროგრამები (მაგ: დასაქმების პროგრამა, მცირე სესხების პროგრამა, და სხვ.) იმ მოსახლეობისათვის, რომელიც განიცდის პროექტის ირიბ ზეგავლენას.

შენიშვნა: ლასლო ირიცის - /სვეკო ინტერნეშენალი/ მიერ შემოთავაზებულ იქნა წინადადება, რომ:

1. ჩატარდეს შემდეგი არაფორმალური შეხვედრა ადგილობრივ მაცხოვრებლებთან და აჭარის მთავრობის წარმომადგენლებთან 1 თვეში მომდევნო გზშ-ს დაგეგმილ საჯარო განხილვამდე (21-22 აპრილი, 2009 წელი);
2. გამოიყოს ერთი საკონტაქტო პირი, დაბა ჩაქვის გამგებელი, რომელთანაც შეგროვდება მოსახლეობის საჩივრები და წინადადებები როგორც წერილობითი, ისე ზეპისიტყვიერი სახით და უშუალოდ მასთან განხორციელდება ყოველდღიური კონსულტაციები აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით.

კარ-და-კარ შეხვედრები ადგილობრივ მოსახლეობასთან

გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) პირველი ვარიანტის საჯარო განხილვებამდე პროექტის ფარგლებში სვეკო ინტერნეშენალის (SWECO Internattional) საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის ექსპერტმა და გარემოსდაცვის ექსპერტთა ჯგუფმა 2008 წლის 23-24 დეკემბერს განხორციელა შეხვედრები დაბა ჩაქვის ახალი ნაგავსაყრელის ახლო მცხოვრებ ადგილობრივ მოსახლეობასთან, კერძოდ ახალი ნაგავსაყრელის მშენებლობის ადგილიდან 100-150 მეტრში მდებარე 5-6 ოჯახთან, სოფ. ჩაისუბნის დასახლების და სოფ. მე-7 მიკრორაიონის მოსახლეობასთან.

შეხვედრების დროს მათ დაურიგდათ გზშ-ს არატექნიკური რეზიუმეს რამდენიმე ეგზემპლარი და ეცნობათ გზშ საჯარო განხილვების ადგილის და თარიღის შესახებ.

ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრების სერია გაგრძელდა გზშ-ს პირველი ვარიანტის საჯარო განხილვების შემდეგაც. 2009 წლის 13 მარტს განხორციელდა კარ და კარ შეხვედრები დაბა ჩაქვის ადგილობრივ მოსახლეობასთან. მათ დაურიგდათ საინფორმაციო ბუკლეტები, სადაც მოცემულია ინფორმაცია პროექტის მიზნების და ამოცანების შესახებ, აგრეთვე ინფორმაცია ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების და უფლებების შესახებ. ხსენებული სოციალური მოთხოვნები უპირველეს ყოვლისა შეეხება ე.წ. “იძულებითი განსახლების” საკითხებს და ასევე ნებისმიერი სხვა სახის უარყოფით სოციალურ ზემოქმედებას, რაც შეიძლება დაკავშირებული იყოს პროექტის განხორციელებასთან.

ადგილობრივ მოსახლეობას განემარტა, რომ თითოეული მოსახლის დანაკარგების და მათი კანონიერი უფლებების განსაზღვრისათვის სახელმწიფოსა და ერგბ-ს მიერ განხორციელდება სპეციალური სოციალური კვლევა და მომზადებული იქნება “განსახლების სამოქმედო გეგმა”, რომელშიც დეტალურად განწერილი იქნება პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ყოველი ოჯახისა და პირის უფლებები, საკომპენსაციო ღონისძიებები და პროცედურები. გეგმის მომზადება მოხდება მოსახლეობასთან ინტენსიური კონსულტაციების საფუძველზე და გარდა წმინდა სამართლებრივი მექანიზმებისა, მოსახლეობის ინტერესების დასაცავად და სახელმწიფოსთან მოლაპარაკების საწარმოებლად გამოყენებული იქნება საჩივრებისა და წინადადებების განხილვის არაფორმალური მექანიზმებიც.

იმისათვის, რომ “განსახლების სამოქმედო გეგმის” მომზადებისას, მოსახლეობის ინტერესები სრულყოფილად იქნას გათვალისწინებული, მათ დაურიგდათ სპეციალური კითხვარი შესავსებად და აგრეთვე საჩივრის ფორმა წერილობითი ფორმით პრეტენზიების მოსაწოდებლად. გზშ-ს პირველი ვარიანტის საჯარო განხილვაზე მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, აღნიშნული საჩივრის ფორმების და წინადადებების შეგროვება მოხდება საკონტაქტო პირთან, დაბა ჩაქვის გამგებელთან (ელგუჯა ბაგრატიონთან), რომელთანაც მუდმივი კონტაქტი ექნებათ პროექტის ჯგუფის წევრებს.

სოფ. ჩაისუბნის მოსახლეობასთან საუბრისას გაირკვა, რომ მათი უმეტესი ნაწილი დადებითად არის განწყობილი პროექტისადმი. რაც შეეხება დაბა მე-7 მიკრორაიონის მოსახლეობას, აქ მოსახურებები გაიყო. მოსახლეობის მცირე ნაწილი კატეგორიულად წინააღმდეგია ნაგავსაყრელის მშენებლობის და ამზადებს საპროტესტო წერილს ადგილობრივ ხელისუფლებასთან გადასაგზავნად. მოსახლეობის დიდი ნაწილი გარკვეული სიფრთხილით ეკიდება ნაგავსაყრელის მშენებლობის საკითხს. ისინი პრინციპში თანახმა არიან მხარი დაუჭირონ ნაგავსაყრელის მშენებლობას, მაგრამ სანაცვლოდ ითხოვენ, ერთის მხრივ, ნაგავსაყრელის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხოების გარანტიებს, ხოლო მეორეს მხრივ, გარკვეული ტიპის სოციალური კომპონენტის ჩართვას პროექტში, რათა ნაგავსაყრელის მშენებლობამ პოზიტიური ზემოქმედება იქონიოს სოფლის სოციალურ მდგომარეობაზე. ეს მოთხოვნა სავსებით შეესაბამება საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიდგომას, რომლის თანახმადაც ამ ინსტიტუტების მიერ დაფინანსებული განვითარების პროექტები არ უნდა განიხილებოდეს როგორც მხოლოდ კონკრეტული ინფრასტრუქტურული ობიექტის მშენებლობა, არამედ უნდა მოიცავდეს განვითარების პროექტის კონტექსტში პროექტის ზემოქმედების არეში მოხვედრილი მოსახლეობის ჩართვას. განვითარების პროექტი უნდა გულისხმობდეს განვითარების პერსპექტივას მოსახლეობის ამ ჯგუფისათვისაც. სოფ. მე-7 მიკრორაიონის მოსახლეობასთან კონსულტაციებისას ინტერესი გამოითქვა სხვადასხვა სოციალური კომპონენტების მიმართ, რაც შეიძლება განხორციელდეს პროექტის ფარგლებში:

- სოფელთან მისასვლელი გზის გაკეთება;
- სოფლის მაცხოვრებლების დასაქმება ახალი ნაგავსაყრელის მშენებლობისას;
- სოფლიდან ნაგვის გასატანად დაინიშნოს მანქანა, რომელიც მოემსახურება სოფელს;
- სოფელში დაიდგას ნაგვის კონტეინერები მდინარის ან მისი ნაპირების დაბინძურების თავიდან ასაცილებლად;
- ბიოგაზიდან მიღებული ელექტროენერგიით სოფლის მომარაგება;
- მცირე სესხების პროგრამა – (მაგ: საღორეებისათვის, ბლოკსაჭრელი ქარხნისათვის, სხვ.)

რაც შეეხება გარანტიებს, მოსახლეობას აინტერესებს:

- რა გარანტიები იქნება იმისა, რომ აღნიშნული სოციალური პროგრამების განხორციელება ნამდვილად მოხდება?
- რა საპროექტო გადაწყვეტილებები არსებობს, რაც უზრუნველყოფს უსაფრთხო ნაგავსაყრელის აშენებას?
- რა გარანტიები არსებობს იმისა, რომ პროექტში დაგეგმილი ყველა ღონისძიება მართლა სრულად განხორციელდება და ექსპლუატაციაში

ჩაბარებული ობიექტი მართლა უსაფრთხო იქნება ადამიანების
ჯანმრთელობისათვის?

5. პასუხები წერილობით შენიშვნებზე და კომენტარებზე

ასოციაცია “მწვანე ალტერნატივა“-სა და CEE BANKWATCH NETWORK-ის შენიშვნები და კომენტარები

აჭარაში მყარი ნარჩენების მართვის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების პირველი ვარიანტის თაობაზე

№	შეკითხვა/კომენტარი	პასუხი
1.	<p>ზოგადი ხასიათის შენიშვნა</p> <p>2007 წელს მომზადებულ საქართველოს ტერიტორიაზე ნარჩენების ინვენტარიზაციის ანგარიშის1 თანახმად ირკვევა, რომ “ახალი ნაგავსაყრელის მშენებლობის მიზნით, შერჩეულია მიწის ფართობი (12 ჰა) დაბა ჩაქვში. შემუშავებულია მშენებლობის პროექტი, რომელიც უნდა დაფინანსდეს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ”.</p> <p>საინტერესოა, თუ 2007 წლისათვის უკვე შერჩეული იყო მიწის ფართობი ნაგავსაყრელის ასაშენებლად და მომზადებული იყო ასევე პროექტი დასამტკიცებლად ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისთვის, მაშინ გაუგებარია, რა პროექტის დამუშავება მიმდინარეობს ამ ეტაპზე და არის, თუ არა დღეს წარმოდგენილი პროექტი 2007 წელს შექმნილი პროექტის ანალოგი. თუ საუბარია ერთსა და იმავე პროექტზე, ასეთ შემთხვევაში, გაუგებარია, საერთოდ რას ემსახურება გარემოზე ზემოქმედების შეფასების და საზოგადოებრივი განხილვების მიმდინარე პროცესი, განსაკუთრებით კი, თუ გადაწყვეტილება ნაგავსაყრელის ადგილმდებარეობის შესახებ უკვე მიღებული იყო 2007 წლამდე.</p> <p>1 გარემოს დაცვისა და ბუნებრივი</p>	<p>2007 წლის ნარჩენების ინვენტარიზაციის ანგარიში და ციტირებული ნაწყვეტი არ ასახავს ზუსტად 2006 წლისათვის მომზადებული დოკუმენტის სტატუსს: წარმოდგენილი დოკუმენტი იყო არა “მშენებლობის პროექტი” არამედ წინასაპროექტო დოკუმენტაცია, რომელიც საერთაშორისო კლასიფიკაციის შესაბამისად შეფასებულ იქნა, როგორც “წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური შეფასება” (Pre-Feasibility Study). ამ ეტაპზე არ ყოფილა წარმოდგენილი არა თუ “მშენებლობის პროექტი” და “გარემოზე ზემოქმედების შეფასება”, არამედ სრულყოფილი “ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება”.</p> <p>SWECO-ს მიერ 2008 წელს მიღებული ტექნიკური დავალება მოიცავს არსებული “წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური შეფასების” დოკუმენტის ანალიზს და ვერიფიკაციას, მასში მყვანილი ფაქტებისა და დასკვნების გადამოწმებას, სრულყოფილი “ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების” მომზადებას, გარემოზე ზემოქმედების შეფასების და საბაზისო ტექნიკური პროექტის შემუშავებას.</p> <p>ამრიგად, 2007 წელს წარმოდგენილი “წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური შეფასება”, ისევე როგორც აჭარის სამთავრობო კომისიის დასკვნა (2005/2006) ნაგავსაყრელის მშენებლობისათვის ადგილის შერჩევის თაობაზე, ვერ იქნება განხილული, როგორც ნაგავსაყრელის</p>



	<p>რესურსების სამინისტრო: “საქართველოს ტერიტორიაზე ნარჩენების ინვენტარიზაციის ანგარიში”; თავი 2.1 “აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა”; 2007 წელი;</p>	<p>მშენებლობაზე მიღებული გადაწყვეტილება. ხსენებული დოკუმენტი განხილულ უნდა იქნას, როგორც საპროექტო წინადადება. გადაწყვეტილების მიღება ამ საპროექტო წინადადებასთან დაკავშირებით მოითხოვს პროექტის უფრო დეტალურ დამუშავებას, გარემოზე ზემოქმედების შეფასების და ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების დასრულებას. სწორედ ამ დოკუმენტების შემუშავებასთან დაკავშირებული საკონსულტაციო პროცესის ნაწილია წარმოდგენილი გარემოსდაცვითი დოკუმენტაციის საჯარო განხილვები.</p>
<p>2.</p>	<p>ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და საზოგადოების მონაწილეობასთან დაკავშირებული შენიშვნები</p> <p>ბათუმი პირველი საჯარო შეხვედრა გაიმართა ქ. ბათუმში შპს “სანდასუფთავების” ოფისში 2009 წლის 22 იანვარს. აღნიშნული შეხვედრისადმი საკმაოდ დიდი ინტერესი გამოიჩინა ადგილობრივმა ტელევიზიებმა, თუმცა ეს ფაქტი არ მეტყველებს შეხვედრის შესახებ ადგილობრივი მოსახლეობისა თუ ადგილობრივი სამოქალაქო ჯგუფების სათანადოდ ინფორმირებულობაზე, რაც საჯარო განხილვებში მათი მონაწილეობის ხარისხზეც აისახა.</p> <p>ადგილობრივი მასმედიის საჯარო განხილვით დაინტერესება უდავოდ მისასაღებელია, ამასთან, მედია შეიძლება გამოყენებულ იქნეს მომავალი საჯარო განხილვების შესახებ მოსახლეობის წინასწარი ინფორმირებისათვის.</p> <p>ასევე, არ შეიძლება არ აღინიშნოს საჯარო განხილვის დაწყებამდე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს უფროსის მოადგილის მიერ ტელევიზიისათვის მიცემული ინტერვიუს შესახებ, სადაც გაცხადებულ იქნა, რომ ახალი</p>	<p>პროექტის მიმართ გამოხატული ინტერესი არაერთგვაროვანი იყო მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებში და ეს უფრო მეტად ასახავდა პროექტის მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების სპეციფიკას, ვიდრე ინფორმირების კამპანიის ხარვეზებს. გზშ-ს საჯარო განხილვების შესახებ დაინტერესებული მხარეები და ადგილობრივი მოსახლეობა გაფრთხილებული იქნა 2008 წლის 18 დეკემბერს ადგილობრივი (“აჭარა”) და ცენტრალური (“24 საათი”) გაზეთების საშუალებით, აგრეთვე კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ელექტრონული ქსელით, აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ვებგვერდის, ორჰუსის ცენტრის ვებგვერდის და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების (ბათუმის, ქობულეთის, ხელვაჩაურის, ჩაქვის) საშუალებით. გზშ-ს პროექტი და არატექნიკური რეზიუმეს ელექტრონული ვერსიები ქართულ და ინგლისურ ენებზე ხელმისაწვდომი იყო აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ვებგვერდზე (ბათუმი), საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების ოფისში (თბილისი), ორჰუსის ცენტრში (თბილისი), კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის ოფისში (თბილისი), ხოლო ბეჭდური ვერსიები ხელმისაწვდომი იყო ბათუმის, ხელვაჩაურის, ქობულეთის, ჩაქვის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ შენობებში და აჭარის ა/რ გარემოს</p>



<p>სანიტარული ნაგავსაყრელის მშენებლობის ადგილად უკვე დამტკიცებულია ჩაქვის ტერიტორია.</p> <p>ქობულეთი პროექტთან დაკავშირებული მეორე შეხვედრა გაიმართა 23 იანვარს ქ. ქობულეთში.</p> <p>აღსანიშნავია, რომ მისამართი რომელიც მითითებული იყო საჯარო განხილვის ჩატარების ადგილად არ შეესაბამებოდა სინამდვილეს, კერძოდ, განცხადების თანახმად, საჯარო განხილვის ადგილად მითითებული იყო ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაცია მისამართზე: რუსთაველის 139ა. სინამდვილეში გამგეობის ადმინისტრაცია მდებარეობს აღმაშენებლის გამზირზე და არა რუსთაველზე, რამაც წარმოშვა გარკვეული დაბნეულობა საჯარო განხილვაზე დასწრების მსურველთათვის.</p> <p>გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში არათუ არ იყო მითითებული პროექტის საჯარო განხილვის შესახებ რაიმე სახის ინფორმაცია, არამედ თვით გამგეობის თანამშრომლებმაც კი, არაფერი იცოდნენ ამ შეხვედრის შესახებ.</p> <p>აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ქობულეთში ჩატარებული საჯარო განხილვა ფორმალურ ხასიათს ატარებდა, რაზეც მეტყველებს შეხვედრის მონაწილეთა შემადგენლობა (საჯარო განხილვას ესწრებოდნენ მხოლოდ ქობულეთის გამგეობის თანამშრომლები).</p> <p>ჩაქვი ჩაქვში ადგილზე გასვლისა და ადგილობრივ მოსახლეობასთან გასაუბრებისას (ჩაის უბანი, მე-7 რაიონი) აღმოჩნდა, რომ ადგილობრივ მოსახლეობას არათუ არ ჰქონდა ინფორმაცია პროექტის ფარგლებში დაგეგმილი საჯარო განხილვების შესახებ, არამედ საერთოდ არ ჰქონდა ინფორმაცია აღნიშნულ პროექტთან</p>	<p>დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოში. 2008 წლის 24 დეკემბერს გზმ-ს არატექნიკური ვერსიის ბეჭდური ვერსიები გადაეცა ჩაქვის გამგებელს. 2008 წლის 23 დეკემბერს იგივე დოკუმენტების ბეჭდური ვერსიები დაურიგდათ ჩაქვის ახალი ნაგავსაყრელი ტერიტორიის 500 მეტრიან ზონის ფარგლებში მცხოვრებ 7-8 ოჯახის წარმომადგენლებს.</p> <p>უნდა აღინიშნოს, რომ პროექტის მიმართ დიდი ყურადღება გამოიხინეს ჩაქვის რაიონის მაცხოვრებლებმა, კერძოდ უშუალოდ ახალი ნაგავსაყრელის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებმა მოსახლეობამ. ეს ინტერესი გასაგებია, ვინაიდან სწორედ მოსახლეობის ამ ჯგუფზე ახდენს პროექტი უშუალო ზემოქმედებას. მოსახლეობის ამ ჯგუფმა ინფორმაცია პროექტზე და დაგეგმილ შეხვედრებზე მიიღო, როგორც ადგილობრივ და ცენტრალურ პრესაში გამოქვეყნებული მასალების, ასევე ადგილობრივი ტელევიზიით გავრცელებული ინფორმაციის და კონსულტანტთა ჯგუფის მიერ უშუალოდ მიწოდებული მასალების საფუძველზე. შესაბამისად, მოსახლეობის ეს ჯგუფი ყველაზე სრულად და ორგანიზებულად იქნა წარმოდგენილი საჯარო შეხვედრაზე.</p> <p>ინტერესის საშუალო დონე გამოვლენილ იქნა ქ. ბათუმში ჩატარებულ შეხვედრაზე. საზოგადოების მხრიდან აქ ჩატარებულ შეხვედრაზე წარმოდგენილი იყვნენ არასამთავრობო ორგანიზაციები. მისასალმებელია, რომ მრავალი სხვა სოციალური თუ პოლიტიკური პრობლემის პირობებში, სამოქალაქო სექტორმა მაინც გამოხატა საკმაოდ აინტერესება პროექტით.</p> <p>რაც შეეხება სატელევიზიო სიუჟეტს გაგიმარტავთ, რომ გამოძველებმა აღნიშნა, რომ ნაგავსაყრელი პოლიგონის მშენებლობისათვის შესაბამისი ტერიტორია არის გამოყოფილი, რაც საჯარო განხილვების შემდეგ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ იქნება განხილული.</p> <p>საზოგადოების დაინტერესება მნიშვნელოვნად ნაკლებად იქნა</p>
--	---



	<p>დაკავშირებით.</p> <p>მიუხედავად ინფორმაციის ნაკლებობისა, ჩაქვის მოსახლეობამ დიდი ინტერესი გამოხატა პროექტის მიმართ, რის გამოც, საჯარო განხილვის ადგილი, საჭირო ფართის არ არსებობის გამო, შეიცვალა და ნაცვლად ჩაქვის გამგეობის შენობისა გაიმართა ჩაქვში მდებარე სასტუმრო ოაზისში.</p> <p>თავდაპირველად შერჩეული ადგილის საჯარო განხილვისთვის შეუფერებლობის გამო, დარჩა შთაბეჭდილება, რომ წინა შეხვედრების მსგავსად აღნიშნულ საჯარო განხილვასაც უნდა ჰქონოდა ფორმალური ხასიათი.</p> <p>საჯარო განხილვისას აღმოჩნდა, რომ პროექტთან დაკავშირებით ინფორმაციას თვით ჩაქვის რწმუნებულები კი არ ფლობდა, რაც ასევე ნათლად მეტყველებს პროექტის შესახებ საზოგადოების / დაინტერესებულ მხარეთა ინფორმირებულობის ხარისხზე.</p>	<p>გამოხატული ქ.ქობულეთის შეხვედრაზე, რაც ძირითადად აიხსნება სამოქალაქო სექტორის ნაკლები განვითარებით ქ. ბათუმთან შედარებით და ასევე იმით, რომ ქ. ქობულეთის მოსახლეობა არ ხვდება ახალი ნაგავსაყრელის მშენებლობასთან დაკავშირებული უშუალო ზემოქმედების არეში.</p> <p>ინფორმირების პროცესის გაუმჯობესების მიზნით, ჩაქვში საჯარო კონსულტაციის შეხვედრაზე კონსულტანტის მიერ შეთავაზებულ იქნა, რომ მიმდებარე ტერიტორიაზე მოსახლე მაცხოვრებელთაგან შეიქმნას უფლებამოსილ წარმომადგენელთა ჯგუფი. ინდივიდუალური შეხვედრების გარდა, მოეწეობა ამ ჯგუფთან კონსულტაციები საქართველოს კანონმდებლობის და ერგბ-ს მოთხოვნების შესაბამისად.</p>
<p>3.</p>	<p>შინაარსობრივი შენიშვნები</p> <p>3.1. ტერიტორიის შერჩევა ნაგავსაყრელის ასაშენებლად</p> <p>როგორც საჯარო განხილვებისას გახდა ცნობილი, პროექტის ფარგლებში ნაგავსაყრელის ადგილის ალტერნატივების ანალიზი ეფუძნება 2006 წლის 20 სექტემბერს გამოქვეყნებულ კვლევას, რომელიც მომზადდა TACIS-ის ტექნიკური დახმარება საინვესტიციო პროექტების მომზადებაში შავი ზღვის აუზის ქვეყნებისათვის..2 პროექტის ფარგლებში3. დამატებითი კვლევითი სამუშაოები ნაგავსაყრელის ადგილმდებარეობის ალტერნატივების მოსაძიებლად არ შესრულებულა. გარდა ამისა, ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ პროექტის კონსულტანტების განცხადებით, პრაქტიკულად, ჩაქვის შესაძლო ნაგავსაყრელის დახურვის შემდეგ აჭარის რეგიონში აღარ რჩება შესაფერისი ტერიტორია ახალი</p>	<p>ტექნიკური დავალების შესაბამისად კონსულტანტის მიერ გაანალიზებულ იქნა არსებული წინასწარი ინფორმაცია ახალი ნაგავსაყრელი ადგილის შერჩევასთან დაკავშირებით და განხორციელდა სხვა შესაძლო ადგილის შერჩევის თაობაზე კონსულტაცია ექსპერტთა ჯგუფთან და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს თანამშრომლებთან. განხილული დოკუმენტების ნუსხა მოიცავდა არა მხოლოდ TACIS-ის ტექნიკური დახმარებით მომზადებული “წინასწარ ტექნიკურ-ეკონომიკური შეფასებას”, არამედ ასევე აჭარის სამთავრობო კომისიის მასალებს. წარმოდგენილი მასალების ანალიზის საფუძველზე კონსულტანტმა გააკეთა დასკვნა, რომ ნაგავსაყრელის მშენებლობისათვის ადგილი სწორად იქნა შერჩეული. კონსულტანტის მიერ მოცემულია დამატებითი განმარტებები იმის თაობაზე, თუ რატომ იყო წინასწარი განხილვის ეტაპზე შერჩეული ნაგავსაყრელის 6</p>

<p>ნაგავსაყრელისათვის. აღნიშნული და ასევე “მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში” პროექტის მიზნებიც მეტყველებს იმაზე, რომ პროექტის კონსულტანტებმა ამ ეტაპზევე უფრო მეტი ძალისხმევა უნდა გაწიონ აჭარაში ნარჩენების მართვის ალტერნატიული (ნაგავსაყრელის მოწყობისგან განსხვავებული) მეთოდების დანერგვის შესაძლებლობების გამოსავლენად.</p>	<p>კონკრეტული პოტენციური უბანი. 6 წინასწარ შერჩეული უბნიდან საბოლოო ვარიანტის შერჩევის მეთოდოლოგია და საბოლოო დასკვნა გაკეთებული წინა ჯგუფების მიერ გაზიარებულ იქნა და შესაბამისი ანგარიში მოცემულია დანართის სახით. დამატებით მოცემულია განმარტება იმის თაობაზე, რომ განსხვავებით საწყისი საპროექტო წინადადებისა, კონსულტანტის მიერ წარმოდგენილი წინადადებით ჩაქვის მე-7 მიკრორაინის მახლობლად დაგეგმილი ნაგავსაყრელი მოემსახურება მხოლოდ ქობულეთისა და ხელვაჩაურის რაიონებს და ქ. ბათუმს, ხოლო მთიანი აჭარის რაიონებისთვის შემოთავაზებულია დამატებითი ნაგავსაყრელის მშენებლობა. შესაბამისად, პროექტის ჯგუფს არ შეეძლო გაეკეთებინა განცხადება, რომ “ჩაქვის შესაძლო ნაგავსაყრელის დახურვის შემდეგ აჭარის რეგიონში აღარ რჩება შესაფერისი ტერიტორია ახალი ნაგავსაყრელისათვის”. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სხვა ნაგავსაყრელის მშენებლობა უკვე შემოთავაზებულია მაღალმთიან აჭარაში.</p> <p>ვახუსტებთ, რომ ის რაც კონსულტანტთა ჯგუფმა განაცხადა შესაბამის შეკითხვაზე პასუხისას არის შემდეგი:</p> <ul style="list-style-type: none"> • დასახლების სიმჭიდროვის, გარემოს სენსიტიურობის და გეოლოგიური პირობებისა და სხვა კრიტიკული ფაქტორების გათვალისწინებით შეიძლება დავასკვნათ, რომ ნაგავსაყრელისათვის გამოსადეგი ტერიტორიის შერჩევა აჭარაში არის ძალიან რთული საკითხი. ალტერნატივების რაოდენობა მეტად შეზღუდულია. შესაბამისად, წინასწარ შერჩეული 6 ადგილი მეტნაკლებად ასახავს შესაძლებლობათა სრულ ნუსხას; • 30 წლის შემდეგ, როდესაც შემოთავაზებული ახალი ნაგავსაყრელის დახურვა არის დაგეგმილი, იმედია პრაქტიკაში დანერგილი იქნება ნარჩენების მართვის ახალი ტექნოლოგიები, რომლებიც გამორიცხავენ ახალი ნაგავსაყრელის
--	---

		<p>მშენებლობის აუცილებლობას. წინააღმდეგ შემთხვევაში კიდევ ერთი ნაგავსაყრელისათვის ადგილის შერჩევა მეტად რთული პრობლემა იქნება.</p>
	<p>3.2. სათბური აირების შეგროვება და დაწვა</p> <p>პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის 8.3.1 თავის თანახმად, უნდა მოხდეს ორგანული ან ნაწილობრივ ორგანული ნარჩენების დამარხვის შედეგად წარმოქმნილი აირების, ძირითადად, მეთანისა და ნახშირორჟანგის შეგროვება და დაწვა, “წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდება უსიამოვნო სუნის გავრცელება ახლომდებარე ტერიტორიაზე და ატმოსფეროში სათბური გაზების შემცველობა გაიზრდება.” 2 2006 წლის 20 სექტემბერი.</p> <p>როგორც საჯარო განხილვებზე გახდა ცნობილი, წარმოქმნილი აირების ელექტროენერჯიად გარდაქმნის შესაძლებლობა დაწუნებულ იქნა პროექტის კონსულტანტების ზეპირსიტყვიერი გათვლების გამო, რომ ელექტროენერჯის გარდაქმნა ამ მოცულობის ნაგავსაყრელებისთვის ეკონომიკურად მიზანშეუწონელია. ზეპირსიტყვიერი გათვლები არ შეიძლება ჩაითვალოს წარმოქმნილი აირების ელექტროენერჯიად გარდაქმნის შესაძლებლობის უგულვებელყოფის საკმარის პირობად.</p>	<p>გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტში (პ. 9.4) მოყვანილია ბიოგაზების შეგროვების და უტილიზაციის სქემა, რომელიც გულისხმობს შეგროვებული გაზის ნაწილის უტილიზაციას მცირე სიმძლავრის გენერატორების და ნარჩენებიდან მიღებული გაზის დასაწვავი “ჩირაღდნის” მონტაჟს. გენერატორების და მთლიანად გაზის შეგროვების და უტილიზაციის სისტემის მონტაჟი გათვალისწინებულია ნაგავსაყრელის ექსპლუატაციაში შესვლიდან 3 წლის შემდეგ. გენერატორები გამოყენებული იქნება ძირითადად ობიექტის (ნაგავსაყრელის) ენერგოუზრუნველყოფისათვის, მათი გამოყენების რენტაბელურობის შესაბამისად. იმ შემთხვევაში, როდესაც არ ხდება გენერატორების გამოყენება ან რჩება ჭარბი გაზი, მოხდება მისი გარემოსდაცვითი თვალსაზრისით უსაფრთხო უტილიზაცია “ჩირაღდანში” დაწვის მეშვეობით. წარმოდგენილი საინვესტიციო პროექტით ბიოგაზის შეგროვების, გენერატორების და გაზის უტილიზაციის სისტემისათვის გათვალისწინებულია 1003000 ევრო. ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებაში მოყვანილი შემოსავლის სტრუქტურა გულისხმობს გამომუშავებული ელექტროენერჯის ენერგოდისტრიბუციის კომპანიებისათვის მიყიდვის შესაძლებლობას. თუმცა შემოსავლის ეს კომპონენტი არ არის გათვალისწინებული ტარიფის დაანგარიშებისას და ობიექტის ფუნციონირების მდგრადობის შეფასებისას. ამის მიზეზს წარმოადგენს სისტემის ეკონომიკური ეფექტურობის და ელექტროენერჯის გაყიდვის შედეგად შემოსავლის გენერირების არასაიმედოობა. სწორედ სისტემის ეკონომიკური მომგებიანობა იქნა დაყენებული ეჭვის ქვეშ საჯარო განხილვების პროცესში. ნაგავსაყრელის კომპანიას ექნება შესაძლებლობა თავად შეაფასოს ენერგოგენერირების სისტემის დანერგვის</p>



		<p>მიზანშეწონილობა. ამრიგად, ეს არ არის პროექტის სავალდებულო კომპონენტი. ამავე დროს, გაზის შეგროვების სისტემის და “ჩირადნის” მონტაჟი - პროექტის სავალდებულო ნაწილია, რაც განპირობებულია პირველ რიგში გარემოსდაცვითი მოსაზრებებით.</p> <p>ჩირადნის არის გაზის შეგროვების და უტილიზაციის სისტემის ნაწილი და ძირითადად გამოყენებული იქნება საწყის ეტაპზე, სანამ გაზის გამოყოფა მიაღწევს ელექტო ენერჯის გენერირებისათვის საჭირო სტაბილურ დონეს, და ასევე სარემონტო სამუშაოების დროს. ჩირადნის და გენერატორების მახასიათებლები და მათი ზუსტი განლაგების სქემა დამუშავებული იქნება დეტალური ტექნიკური პროექტის შემუშავების ეტაპზე ნაგავსაყრელის ამუშავებიდან 3 წლის შემდეგ.</p> <p>საჯარო შეხვედრებზე ასევე განხილულ იქნა აჭარის არ პირობებში ისეთი, შედარებით მსხვილი, ენერგოგენერირების ობიექტების მშენებლობის არარენტაბელურობის საკითხი, რომლებიც შენდება ხოლმე დიდ ნაგავსაყრელებზე და გამოიმუშავებენ ელექტროენერჯიას ნარჩენების უტილიზაციის პროცესში. ეს უფრო რთული და ძვირადღირებული ტექნოლოგიებია. ნარჩენების მცირე რაოდენობის გამო არარენტაბელურად არის მიჩნეული ამ ტექნოლოგიების დანერგვა. მსგავსი ტექნოლოგიების გამოყენება რენტაბელურია და მდგრადი ფუნქციონირების საფუძველს ქმნის ნარჩენების დაახლოებით ისეთი რაოდენობის შემთხვევაში, რომელიც 5-10 - ჯერ აღემატება “ჩაქვის ნაგავსაყრელზე” პროგნოზირებულ ნარჩენების რაოდენობას.</p>
	<p>3.3. სოციალური ზემოქმედება</p> <p>გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის მე-10 თავში განხილულია პროექტის სოციალური ზემოქმედება. ამ თავში განხილულია ნაგავსაყრელის ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ მცხოვრებ მოსახლეობაზე ნაგავსაყრელის ზემოქმედება. სამწუხაროდ, ამ თავში არაფერია ნათქვამი ნაგავსაყრელის როგორც</p>	<p>დოკუმენტის მე-10 თავში დიფერენცირებულია ორი სახის ზემოქმედება მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობაზე: პირდაპირი ზემოქმედება, დაკავშირებული ნაგავსაყრელის ფიზიკურ ზემოქმედებასთან ადამიანების ჯანმრთელობაზე და გარემოზე და ირიბი სოციო-ეკონომიკური ეფექტები.</p>

<p>სოციალურ, ასევე ეკონომიკურ ზეგავლენაზე მეზობლად არსებული სოფლების მაცხოვრებლებზე (1 კმ-მდე მანძილი).</p> <p>ჩაქვის მოსახლეობის შემოსავლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს ტურიზმი წარმოადგენს.</p> <p>ჩაქვი მდებარეობს ზღვის სანაპიროზე, გაანჩია უღამაზესი ხედები (ერთდროულად როგორც ზღვის ასევე მთის), ნაგავსაყრელის შესაძლო პოლიგონის მახლობლად არსებული სოფლებში (ჩაისუბანი, მე-7 რაიონი) ვითარდება მეკალმახეობა, სადაც დასაქმებული არიან ადგილობრივი მაცხოვრებლები და სოფლის მოსახლეობას აქვს სოფელში შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობის სამომავლო გეგმები, რომელიც უფრო მეტი ტურისტების მოზიდვის საშუალებას მისცემს მათ და შესაბამისად, ხელს შეუწყობს როგორც ჩაქვის ტურისტულ ცენტრად გადაქცევას, ასევე ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებასა და მათი შემოსავლების ზრდას.</p> <p>ზემოხსენებული მიზეზების გამო, აღნიშნულ ტერიტორიაზე ნაგავსაყრელის აშენების შემთხვევაში, სერიოზული საფრთხის ქვეშ შესაძლებელია აღმოჩნდეს სოფლის მოსახლეობის როგორც ამჟამინდელი შემოსავლები, ისე სამომავლო გეგმები, რაც აუცილებლად უნდა იქნეს დეტალურად შესწავლილი პროექტის კონსულტანტების მიერ.</p>	<p>კერძოდ ტექსტში მითითებულია, რომ: [ციტატის დასაწყისი] “ჩვეულებრივ, მეზობლად მცხოვრები ოჯახებისთვის მთავარ პრობლემას, რომელსაც მათ ნაგავსაყრელი უქმნის, წარმოადგენს:</p> <ul style="list-style-type: none"> • სუნი ნარჩენების გადაყრისა და ნაგავსაყრელის კომპოსტირების შედეგად; • ნაგავსაყრელიდან მომავალი კვამლი (შემთხვევითი ხანძრის ან ღია წვის შემთხვევაში); • მტვერი გადმოტვირთვისა და გადაყრის ოპერაციების შესრულების დროს; • ნაგვის გავრცელება ქარის მიერ; • ნაგავსაყრელზე მომუშავე სატრანსპორტო საშუალებებისა და ნაგვის მანქანების ხმაური; • ნაგავსაყრელის მეზობლად მცხოვრები ადამიანების ჯანმრთელობას შესაძლო საფრთხე ექმნება ნაგავსაყრელზე მცოხნავი ცხოველების, მწერების, მღრღნელების, ქვეწარმავლების გამოჩენის გამო ნარჩენების ღიად განთავსების ან ნაგავსაყრელის არასწორი მართვის შემთხვევაში. • დაფესვიანებული მცენარეულობის (ხეებისა და მსგავსი) განადგურება ნაგავსაყრელის გაზების გამო. შემოთავაზებულ ახალ ნაგავსაყრელთან დაკავშირებით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ზემოქმედება მჭიდროდ დასახლებულ სოფელზე (მე-7 მიკრორაიონი) უმნიშვნელოა. თუმცა, ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ზემოქმედებას ადგილი ექნება ნაგავსაყრელის ტერიტორიასთან მეზობლად მდებარე კერძო საცხოვრებელი სახლებისა და მიწის ნაკვეთების მფლობელებზე. [ციტატის დასასრული]. <p>აქვე აღვნიშნავთ, რომ გზმ-ს ახალ ვერსიაში ცალკე დანართის სახით (დანართი №) არის მოცემული დაბინძურების გავრცელებასა და ბიოგაზის დიფუზიასთან დაკავშირებული რისკების უფრო დეტალური ანალიზი, რომელიც ცხადყოფს, რომ ფიზიკური ზემოქმედება მე-7 მიკრორაიონის დასახლებაზე გამორიცხებულია.</p> <p>რაც შეეხება ირიბ ზემოქმედებას, კერძოდ სოციო-ეკონომიკურ ეფექტს, გზმ-ს პირველი პროექტის იგივე პარაგრაფში</p>
---	---

		<p>აღნიშნულია, რომ:</p> <p>[ციტატის დასაწყისი] ნაგავსაყრელის ტერიტორია ჩანს დასახლებებიდან და გზიდან. ნაგავსაყრელის არსებობა შეამცირებს მოცემული ტერიტორიის, როგორც ტურისტული ზონის, ღირებულებას. ოფიციალურად ჩაქვი არ ითვლება საკურორტო ზონად, თუმცა კერძო მცირე ტურისტული ბიზნესი ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლის მნიშვნელოვანი წყაროა. [ციტატის დასასრული].</p> <p>გზშ-ს განახლებულ ვარიანტში ხსენებული პარაგრაფი გარკვეულად განვრცობილია და კერძოდ აღნიშნულია, რომ მიუხედავად იმისა, რომ მე-7 მიკრორაიონის უბანი არ არის საკურორტო ზონა, საკმაოდ დაშორებულია ზღვის სანაპიროდან და ცენტრალური ავტომაგისტრალიდან, მას მაინც გააჩნია გარკვეული რეკრეაციული მნიშვნელობა. ის თითქმის არ გამოიყენება ზღვის სანაპიროზე დასვენების მსურველთა მიერ (ზღვიდან სიშორის და ინფრასტრუქტურის არ არსებობის გამო), მაგრამ აქ არის თევზის მოშენების ობიექტები და საზაფხულო პიკნიკების მოწყობის ტრადიცია, რაც გარკვეული დამატებითი შემოსავლის წყაროა ადგილობრივი მოსახლეობისათვის. ხსენებული ბიზნესის შეზღუდული ხასიათი, ისევე როგორც ნაგავსაყრელის შესაბამისობა ევროკავშირის სტანდარტებთან მინიმალურს ხდიან ხსენებული ზემოქმედების უარყოფით მნიშვნელობას. დაგეგმილი შემარბილებელი ღონისძიებები (ნაგავსაყრელის პერიმეტრზე ხეების დარგვა, ვიზუალური მასკირება, სუნის და სხვა შემაშფოთებელი ფაქტორების მინიმიზაცია ევროკავშირის მოთხოვნათა შესაბამისი პროექტისა და სამენეჯმენტო პრაქტიკის გამოყენების შედეგად) და საკომპენსაციო ღონისძიებები (მისაველელი გზების რეაბილიტაცია, შესაძლო იაფი კრედიტები თევზის მოშენების და სარეკრეაციო ბიზნესის ან სოფლის მეურნეობის განსავითარებლად და ა.შ.) საკმარისი კომპენსაცია უნდა იყოს მე-7 მიკრორაიონის მაცხოვრებელთათვის.</p>
--	--	--



<p>3.4. ნაგავსაყრელის ფუძის დაინსტალირება</p> <p>პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის 9.2 თავის თანახმად, “ნაგავსაყრელის ფუძე მოეწყობა ნაგავსაყრელების შესახებ ევროკავშირის დირექტივის თანახმად. სადრენაუო ფენის ქვეშ მოეწყობა წყალგაუმტარი სამოსი წყლისა და ნიადაგის დაბინძურების მინიმუმამდე შემცირების მიზნით. მიმდებარე ტერიტორიიდან გრუნტის წყლების პოტენციური ჩადინების თავიდან აცილების მიზნით ნაგავსაყრელზე არსებული ყველა ნაკადი (რუ) ამოივსება ხრეშით ასეთი დაუბინძურებელი წყლის ნაგავსაყრელის ტერიტორიიდან გადაგდების მიზნით”.</p> <p>ჩაქეში გამართულ საჯარო შეხვედრაზე აღინიშნა, რომ სადრენაუო ფენის ქვეშ წყალგაუმტარი სამოსის მოწყობა თავდაპირველ ეტაპზე არ არის აუცილებელი მთელი ტერიტორიისათვის და მისი მოწყობა შესაძლებელია მოხდეს თანდათანობით, ვინაიდან მთელი ამ ტერიტორიის წყალგაუმტარი სამოსის მოსაწყობად საჭიროა 4 მილიონი ევრო. ეს გარემოება არ იყო ნახსენები გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტში. ისევე როგორც პროექტში, არსად არის ნახსენები ის, თუ როგორ მოხდება აღნიშნული პროცესის მონიტორინგი და რა გარანტიებია ჩადებული პროექტში იმისა, რომ მოხდება ნაგავსაყრელის ფუძის თანდათანობითი დაინსტალირება ევროკავშირის დირექტივის შესაბამისად.</p>	<p>ერგბ-ს პრაქტიკის და მრავალწლიანი გამოცდილების შესაბამისად, კონტრაქტი ერგბ-სა და სესხის მიმღებ მხარეს (აჭარის არ მიერ ჩამოყალიბებული პროექტის მართვის განმხორციელებელი სტრუქტურა; ნაგავსაყრელის ოპერატორი კომპანია) შორის ითვალისწინებს ამ უკანასკნელის მიერ შესაბამისი ვალდებულებების აღებას და ერგბ-ს მიერ ამ ვალდებულებების შესრულებაზე მონიტორინგის განხორციელებას. საწყის ეტაპზე მოხდება ნაგავსაყრელის მთლიანი ფუძის 1/3-ის აგება. ეს გულისხმობს 10 წლის განმავლობაში განსათავსებელი ნარჩენებისათვის ევროსტანდარტებით გათვალისწინებული საფარის აშენების გარანტიას. დანარჩენი 2/3-ისათვის გაუმტარი საფენიანი ფუძის მშენებლობა მოხდება ნაგავსაყრელის გახსნიდან 10-15 წლის შემდეგ. დეტალური პროექტითა და მშენებლობის ნებართვით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების უზრუნველყოფა მოხდება კომპეტენტური უწყებების ზედამხედველობის ქვეშ. ნაგავსაყრელის მშენებლობის შესაბამისი ეტაპის დაწყების და კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შესახებ ინფორმაცია მიეწოდებათ, როგორც ერგბ-ს, ასევე ხსენებულ კომპეტენტურ უწყებებს. კერძოდ, ზედამხედველობის ფუნქციის განხორციელება დაეკისრებათ აჭარის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს და გარემოს დაცვის ინსპექციას.</p>
<p>3.5. მონიტორინგის სისტემა</p> <p>როგორც საჯარო განხილვებისას გახდა ცნობილი, პროექტის კონსულტანტებს არა აქვთ ნათელი წარმოდგენა იმაზე, თუ როგორ მოხდება პროექტის დოკუმენტში გაწერილი ქმედებების რეალობაში განხორციელების მონიტორინგი, პროექტში ეფექტური მონიტორინგის სისტემის არარსებობის გამო. როგორც შეხვედრაზე გაირკვა</p>	<p>მშენებლობის ეტაპის და ექსპლუატაციის ფაზის შესაბამისი მონიტორინგის და მენეჯმენტის ზოგადი სქემა, სახელმძღვანელო მითითებების სახით, მოცემულია გზშ-ში. ობიექტის მშენებლობისა და ექსპლუატაციის გარემოსდაცვითი მენეჯმენტის და მონიტორინგის დეტალური გეგმები და სახელმძღვანელოები დამუშავებულ იქნება მშენებელი კონტრაქტორის და ნაგავსაყრელის კომპანიის მიერ.</p>

	<p>პროექტის განხორციელებაზე პრაქტიკულად პასუხს აგებს აჭარის მთავრობა, თუმცა გარანტიები იმისა, რომ პროექტი ისე განხორციელდება როგორც დოკუმენტაციაშია მოცემული, არ არსებობს, რაც სერიოზულ ეჭვებს ბადებს იმისას, რომ პროექტი არ იქნება სათანადოდ განხორციელებული.</p>	<p>ნაგავსაყრელის კომპანიას სათანადო გეგმების შემუშავებაში დახმარებას აღმოუჩენს საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანია ტექნიკური დახმარების პროექტის (Technical Assistance Project) ფარგლებში.</p> <p>ერგბ-ს პრაქტიკის და მრავალწლიანი გამოცდილების შესაბამისად, კონტრაქტი ერგბ-სა და სესხის მიმღებ მხარეს (აჭარის არ მიერ ჩამოყალიბებული პროექტის მართვის განხორციელებელი სტრუქტურა; ნაგავსაყრელის ოპერატორი კომპანია) შორის ითვალისწინებს ამ უკანასკნელის მიერ შესაბამისი ვალდებულებების აღებას და ერგბ-ს მიერ ამ ვალდებულებების შესრულებაზე მონიტორინგის განხორციელებას. დეტალური პროექტითა და მშენებლობის ნებართვით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების უზრუნველყოფა მოხდება კომპეტენტური უწყებების ზედამხედველობის ქვეშ. ნაგავსაყრელის მშენებლობის შესაბამისი ეტაპის დაწყების და კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შესახებ ინფორმაცია მიეწოდებათ, როგორც ერგბ-ს, ასევე ხსენებულ კომპეტენტურ უწყებებს. კერძოდ, ზედამხედველობის ფუნქციის განხორციელება დაეკისრებათ აჭარის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს და გარემოს დაცვის ინსპექციას.</p>
	<p>3.6. მომსახურების ტარიფები</p> <p>ვინაიდან აღნიშნული პროექტის ნაწილის დაფინანსება მოხდება 3 მილიონი ევროს ოდენობის სესხით, რომელსაც გამოყოფს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, აუცილებელია, წინასწარ იქნეს განსაზღვრული ნაგავსაყრელის მომსახურების ტარიფები აჭარის მოსახლეობისათვის. ასევე უნდა იქნეს განსაზღვრული და გათვალისწინებული შეღავათები სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის პროექტის მთელი სასიცოცხლო ციკლის (35 წლის) განმავლობაში.</p>	<p>საპროექტო წინადადების პარაგრაფ 11.7-ში გაანალიზებულია ტარიფების ზრდის ზემოქმედება და სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის შეღავათების ვარიანტები.</p>
	<p>3.7. მესამე ნაგავსაყრელის დახურვა</p>	<p>პროექტში განხილულია ქობულეთის</p>

<p>გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის 2.3.2 თავში აღნიშნულია, რომ “ნაგავსაყრელის დახურვის შემდეგ ნარჩენების განთავსების მიზნით ხდებოდა ბათუმის ნაგავსაყრელის გამოყენება, მაგრამ საწვავის დიდი ხარჯის გამო, გაიხსნა დროებითი ნაგავსაყრელი ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიერ”. ქობულეთში გამართულ საჯარო განხილვაზე აღინიშნა, რომ დროებით ნაგავსაყრელს არ გააჩნია არანაირი ნებართვა და შესაბამისად წარმოადგენს უკანონო ნაგავსაყრელს.</p> <p>პროექტის კონსულტანტის მიერ აღნიშნული პრობლემის მოგვარებისათვის რეკომენდებული იყო ახალი ნაგავსაყრელის გახსნის შემდგომ არსებული დროებითი ნაგავსაყრელიდან ნაგვის შეგროვება და გადატანა. თუმცა, პროექტის განხორციელების დროისთვის, აღნიშნულ დროებით ნაგავსაყრელზე მოსალოდნელია დიდი მოცულობით ნარჩენების აკუმულირება, რაც შეუძლებელს გახდის ნარჩენების გადატანას ახალ ნაგავსაყრელზე. შესაბამისად, არსებობს საფრთხე იმისა, რომ ახალი ნაგავსაყრელის გახსნის შემდეგ უკანონოდ ოპერირებადი ნაგავსაყრელი არ იქნება სათანადოდ დახურული.</p>	<p>ახალი ნაგავსაყრელის დახურვის შესაძლებლობა და იხილება ორი შესაძლო ვარიანტი: პირველი – ვინაიდან ნაგავსაყრელი ახალი გახსნილია და განთავსებული ნარჩენების რაოდენობა დიდი არ არის, შესაძლებელია ჩაქვის ახალი ნაგავსაყრელის გახსნისას მოხდეს ამ ნაგავსაყრელზე დაგროვილი ნარჩენების ჩაქვის ახალ ნაგავსაყრელზე გადატანა. მეორე – მოხდება ქობულეთის მეორე ნაგავსაყრელის ინერტული მასალებით და ნიადაგით გადაფარვა.</p> <p>პროექტის ამ კომპონენტისათვის გამოყოფილია 163500 ევრო.</p>
---	--